



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სპი თვით 2 მან., თითო ნამუერი—15 კაპ. ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სპიორნის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакция «КВАЛИ».

შანაჩისი: ჩვენა ცხოვრებიდან, დ. კოლხადელისა.—სხვა და სხვა ამბები.—გორესზან.—სოსოში, ნაქარი ღუნდუსი.—ქუთ. გუბ. თავად-ახ. სსხ. კრება, Parole-სი.—რადესად მოვეკ. დე, ლექ. ბ. ახლ-შირელისა.—ნიდაბი, მთ. ან. ჩხვავისა, თარ. ლელასი.—ბიბია არქიუა და ლენკა, მთ. შ. გორკისა, ახრ. გ. გიუნაშვილისა.—რუსეთს ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—ეურ-ხად-გაზეთებიდან.—ერთი სსხ. წიგ. გამოცემის გამა, ისისა.—ბორჩხალოელი კახი, არა-ქეიმისა.—მეფე ვას. მე-VI-სის კანონები და ქართ. ქალი, ა. ჩხვავისა.—განცხადება.

ჩვენი ცხოვრებიდან.

24 ამ თვეს სამეურნეო საზოგადოება შეუდგა მთავრობის მიერ დაყენებულ კითხვის გარჩევას, თუ როგორ შეიძლება თანამედროვე სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესობა. მთავრობა სთხოვს მეურნეებს წარმოთქვან მათი აზრი და სურვილები. საზოგადოება, რასაკვირველია, ისარგებლებს ამ მარჯვე შემთხვევით, რომ სოფლის საქიროება რაც შეიძლება საფუძვლიანათ გამოიკვლიოს და დასახელოს უსაქიროესი რეფორმები, ურამლისოთ სოფლის ეკონომიურ კეთილ-დღეობაზე ზრუნვაც კი მეტია.

ზოგიერთა ორატორმა კრებაზე წარმოსიტქვა ის აზრი, რომ კითხვის რიგინათ განოკვლევისთვის საჭიროა კავკასიის მეურნეთა საერთო კრების მოხდენა. ამ კრებას, „საზოგადოების“ აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნება. საერთო კრება მიწათ მომქმედთა, რომელთაც ეძლევა უფლება თავისუფლათ იკამათოს სოფლის მეურნეობის ყოველგვარ პირობებზე, უფრო საგნებით და ნათლათ გავითვალისწინებს მის საქიროებებს.

სამეურნეო საზოგადოებაში წარმოითქვა ის აზრი, რომ სოფლის მეურნეობის ინტერესების საუკეთესო დამცველი—ერობაა.

ერობის შემოღება ძლიერ სასარგებლო და სასურველია, მაგრამ ერობას არ შეუძლია გაათავონ გაზვიადებული იმედები საზოგადოების ზოგიერთ წევრებისა და, რასაკვირველია, არაა „ყველაფერი ამ თვით-მმართველობის, ერობის შემოღებაზე დამოკიდებული“. არის ზოგიერთ ქვეყნებში

აიუღლათ თითქმის ყოველგვარი საშუალება, რომ მეურნეებმა თვითონვე იზრუნონ თავის კეთილდღეობაზე და სახელმწიფოსაც მოთხოვნ საჭირო დახმარება, მაგრამ იქაც წვრილ მეურნეებმა სენი ვერ მოიშორეს. მაშასადამე—არის ცხოვრების მექანიზმში ნაკლი, რომლის გამოსწორება, უნდა დაედოს აუკილებელ საფუძვლათ საზოგადოების კეთილდღეობას. ერობა და სხვა ამგვარი დაწესებულებათა შემოღება სასურველია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის

გაწესრიგება ყველა იმათგან იქნება დამოკიდებული, ვინც დაინტერესებულია საქმის რაგინათ წაყვანაში.

აგრეთვე მომავალ სოფლის მეურნეთა საერთო კრება უნდა მოხდეს მიწათ-მომქმედთა ყველა კატეგორიის წარმომადგენელთა თანადსწრებით. თითოეულ კატეგორიის საჭიროება ამ კრებაზე თანასწორი ყურადღებით უნდა გაირჩეს. დროებით ვალდებულნი გლახები, ხიზნები, გლახები, რომელნიც რამოდენიმე თვე სხვას ქირაში უდგებიან და მხოლოდ რამდენიმე თვეს ანდომებენ თავის მეურნეობას, გლახები, რომელთაც სრულიათ არა აქვს საკუთარი მეურნეობა და სხვ... ყველა ამათი მდგომარეობის გამოკვლევამ უნდა დაიკავოს საპატიო ადგილი საერთო კრებაზე. მაგრამ რა გზით შეიძლება მათი ინტერესების დაცვა?

მე დარწმუნებული ვარ, რომ არც შკოლების დაარსებით, არც საუკეთესო იარაღების და მეთოდების შემოღებით, არც სხვა და სხვა გვარი საკრედიტო საზოგადოებების და კოოპერაციების გავრცელებით სოფლის მეურნეებს (წვრილ) ვერ ვიხსნით თან და თან დაქვერთებისაგან. ეს სამწუხარო ფაქტი აშკარაა ყველასთვის, ვინც კი ძალათ თვალს არ დახუჭავს ქვემარტების წინაშე. ამას ამტკიცებს საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის, ინგლისის და სხვა ქვეყნების მეურნეობის ისტორია—(იხ. „კვალი“ №№ 38, 39 1902 წ. და 1901 წ. „კვალი“ №№ 7, 10, 14, 24, 26, 33, 37). რასაკვირველია, ტენნიკის პროგრესით ისარგებლებს რამოდენიმე მეურნე, გაუმჯობესდება მეურნეობაც, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს თანამედროვე მიწათ-მომქმედთა სენის განკურნებას...

ჩვენმა ქვეყანამაც შეტოვა მხოლოდ ეკონომიურ მორევში; ჩვენი ცხოვრებაც იღის დაწინაურებულ ქვეყნების მიერ უკვე გავლილ გზით; ჩვენშიდაც ძველებურ ცხოვრებას და წარმოებას ბოლო ედება. ჩვენშიდაც ხალხი ამოძრავდა. თან-და-თან მეტი გავლენა აქვს სოფლელის ცხოვრებაში ქალაქს; თან-და-თან უფრო ბევრი სოფლელი სამუდამოთ ესალმება სოფელს. სოფელი თან-და-თან ობლდება...

რაა ამის მიზეზი? მიზეზი მრავალ გვარია. ამ მიზეზის

ძებნამ გამოიწვია საინტერესო კამათი სამეურნეო საზოგადოების კრებაზე. პედაგოგი მიქელაძის აზრით სოფლის მეურნეობის დაქვეითების მიზეზი ახალგაზდა გლეხობის სოფლიდან ქალაქებში სამუშაოს საძებნათ წასვლაა; ხოლო იმის მიზეზი, რომ ისინი სამუშაოს ქალაქში ეძებენ და სოფლის მეურნეობას თავს ანებებენ,—არის სასოფლო შკოლა...

დღევანდელი შკოლა, ცხადაა, არაა რიგიანათ დაყენებული; ის დღეს მოკლებულია იმ საშუალებას, ურომლისათ მოუხერხებელია ქართველი ხალხის გონებრივად წინ სვლა და საჭირო ცოდნა-განვითარების შეძენა. ეს იარაღი ქართული ენაა. 3—5 წლის განმავლობაში უხსნით ბავშვებს ბუნებას, ცხოვრებას, ასწავლით ანგარიშს, ისტორიას არა იმ ენაზე, რომელზედაც ის ფიქრობს, რომელ ენაზედაც მას აქვს შეთვისებული სახელები სხვა და სხვა საგნებისა და მოვლენათა, არა ენაზე, რომელზედაც თითოეული სიტყვა მის გონების წინ შლის მთელ სურათს... ხოლო 3—5 წლის განმავლობაში ამენის საშუალებით ბავშვის გონების ვარჯიში გამოიტანდა საუსრველ ნაყოფს, თუ თანამედროვე შკოლას ძალ-უძს რაგანა საზრდას მაწოდება.

მაგრამ როდესაც შკოლა უარ ყოფს ამ ბუნებრივ იარაღს, ის უარ ყოფს მოსწავლე ბავშვის და მთელი ხალხის ინტერესებს და აფერხებს ქვეყნის წინ-სვლას.

ყველა განათლებულმა ადამიანმა იცის, თუ რა დიდი გავლენა აქვს შრომის სინაყოფიერებზე წერა-კითხვის ცოდნას და გონების განვითარებას. რამდენათაც ადამიანი გონებით უფრო განვითარებულია, იმდენათ მისი შრომა უფრო ნაყოფიერია. ეს დღეს ეკონომიურ მეცნიერებაში იმდენათ აშკარა ფაქტია, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელებაც მეტია. აშკარაა, რომ ჩვენი შკოლა თავის ბუნებრივ მიზანს ვერ ემსახურება და ასეთ შკოლებში აღზრდილი ყმაწვილების შრომაც არ იქნება საკმაოდ ნაყოფიერი.

მაგრამ შედაგვად მიქელაძე ამაებზე როდი ჩივდა. მას ამ საგანზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მას სურს მხოლოდ სახალხო შკოლების გარდა სასოფლო-სამეურნეო შკოლებიც დაარსდეს. ამნაირათ პედაგოგი მიქელაძის და თავ. ჯანდიერის აზრით სოფლის შვილი სოფელს მიეკვრება სამუდამოთ, სოფლის მეურნეობის საქმეც გამოკეთდება... მომავალ კვირაში განვაგრძოთ ბაასი.

დ. კოლხიძელი.

სხვა-დასხვა ამბები.

ორშაბათს, 23 სექტემბერს, ქუთაისის ქალაქის საბჭომ აირჩია ქალაქის მდივნათ ბ. ივ. ჯაფარიძე. კენჭი იყარეს ბ. ივ. ჯაფარიძემ და ბ. ხოჯაშვილმა; პირველმა მიიღო 33 თეთრი, 3 შავი, მეორემ 4 თ. და 32 შავი.

ქ. ქუთაისის საბჭომ გადასწყვიტა დაევალოს ქალაქის თავს, დ. ა. ლორთქიფანიძეს, პეტერბურგს წასვლა და შავი-ზღვის ნაპირა მომავალ რკინის გზის ქუთაისამდე გაგრძელების შესახებ ზრუნვა.

გადამღებ ავადმყოფთათვის სახლები დაამზადა ქალაქმა (თფილისმა) და ოქტომბრის პირველ რიცხვებში კიდევ საავადმყოფოები გაიხსნება.

სამინისტროს მინდობილობით, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი დაკითხვია თფილისის: საბჭოს ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების მაგიერ, ქალაქში რომ საშუალო სამრეწველო სასწავლებელი სამთო ნაწილის განყოფილებით

გაიმართოს, შემოიტანს ქალაქი ერთ დროულათ მესავე ხარჯს ათი ათას თუმანს და შემდეგში ყოველწლიურად ათას თუმანს, თუ არაო? ქალაქის გამგეობას დაუდგინო კენჭი დასახელები ცნობები ჯერ ქალაქის სკოლათა გამგე კომისიას მოეთხოვოსო.

სოფ. მცნებში (ქართლი) ციმბირის ქირი აღმოუჩენილა: სამი კაცი გამხდარა ამ სენით ავით, ერთი მათგანი მომკვდარა კიდევ. გამოუკვლევიათ და აღმოჩენილა, რომ ამ ქირიანი ორი თხა დაუკლავთ, ხორცი უჭამიათ და ტყავიც უხმარიათ. ექიმს საშუალება უხმარია და ჯერ-ჯერობით სენი სხვას არ გამოჩენია.

24 სექტემბერს, აკურთხეს და ჩაყარეს საძირკველი, სახალხო სახლისა, რომელიც კაროჩნის ქუჩაზე შენდებოდა.

პოლიცმეისტერს დაუვალვებია ბოქაულებისათვის, განსაკუთრებული თვალ-ყური ადევნეთ, რომ ქალაქში ისეთი ებრაელები არ ცხოვრობდენ, რომელთაც დანიშნულ ადგილების გარდა ცხოვრება აღკრძალული აქვთო. ამ ბოლოს ღროს აღმოუჩენიათ ისეთი ებრაელები, რომელთაც ეს წესი დაკული არ ქონიათ.

24 და 26 აგვისტოს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკს საჯარო ვაჭრობის დროს გაუყიდავი დარჩა ქალაქის მამული 37 და სოფლისა 568. ხელ-მეორე ვაჭრობა დანიშნული იყო 21 სექტემბრისათვის. ამ დღეს ბანკის გამგეობამ გასასყიდათ გამოაცხადა ქალაქის მამული სამი და სოფლისა 17. ქალაქის მამულებიდან გაიყიდა ორი. გაუყიდელ მამულებზე ბანკის ვალი ითვლებოდა 3472 მან. გაიყიდა 3800 მან. სოფლის მამულიც ორი გაიყიდა, დანარჩენი 15 მამული ბანკს დარჩა.

დ. ხონიდან გვწერენ,—რომ იქ და ახლო-მახლო სოფლებში სიმინდის მოსავალი, შედარებით წინა წლებთან, ბევრათ მეტია. საკვირაო სკოლა თავის მოქმედებას ჯერაც არ შესდგომია. საქმე იმაშია, რომ, ისინი ვისთვისაც შკოლაა გამართული, ე. ი. მალაზიებში მოსამსახურენი და სხვა და სხვა მოხელეთა შევირდები სრულიათ მოკლებულნი არიან თავისუფალ დროს თვით კვირა-უქმე დღესაც. კვირა დღეობით უმეტესი ზოგიერთი ნაწილი ხელოსანთა და მალაზიების პატრონთა თავიანთ სახლში გზავნიან შევირდებს სამუშაოთ.

აზრდა აქვთ ყველა საავადმყოფოში საჩივრის წიგნები შემოიღონ. უკმაყოფილო ავადმყოფსა და გარედან მოსულთ შეეძლებათ თავიანთი საჩივარი ამ წიგნში ჩასწერონ ხოლმე.

სათავად-აზნაურო სასკოლო-საზოგადოების მამულში, სოფ. სკრას აღმოჩენილა ფილოქსერა და საფილოქსერო კომიტეტს აღუკრძალავს ამ მამულიდან თესლისა და ვაზის რქის გატანა; ამ ჟამათ ამ მამულში საფილოქსერო დასი მუშაობს; ექსპერტ ნ. ნ. სპეშნევის ხელმძღვანელობით, რომელსაც მინდობილი აქვს გამოიკვლიოს რამოდენა ადგილია წამხდარი ფილოქსერით.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრნი შესდგომიან მეურნეობის სხვა და სხვა საჭიროების შესახებ მოხსენებათა შემუშავებას, რომელნიც უნდა წარედგინოს მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, მის თფილისში ყოფნის დროს.

მერმის შემოდგომაზე პეტერბურგში დანიშნულია ისტო-

კიული ტანისამოსების გამოფენა. როგორც „ივერია“ გად-
მოგვეცემს ბევრს ჩვენებურს განუზრახავს მიიღოს მონაწილეო-
ბა. თფილისის გუბერნიის თავად-ახნაურობას განზრახვა აქვს
მოილოპარაკოს ამ საგანზე და თუ მოსახერხებელი იქნება,
დაამზადოს ტიპური სახენი ქართველ კაცთა და დედაკაცთა
აღებასტრისა ტიპინებს ჩააცვან სულ ძველებური ქართული
ტანისამოსი და ყოველივე ეს ვაგზავენონ ზემოხსენებულ გამო-
ფენაზე. ამ საგნის ყოველივე შესახები ცნობა და დაახლოვე-
ბულის ხარჯთ-აღრ.ცხვის შედგენა გუბერნიის მარშალმა მიან-
დო ჩვენს ახალგაზდა სკულპტორს ბ-ნს ი. ნიკოლაძეს.

კორესპონდენციები.

გურიი. (აქაური რამე-რუმე). „გადამხდა გადასა დედი აწ უა-
რესსა მოველი“—ძოგკითხრობს ხალხური ანდაზა. ჩვენ გურულ
ხალხზედაც ასე ითქმის მთელ კავასიაში ძნელათ თუ მოაზრებთ
ასეთი ბუნებისაგან ყოველ მხრით დაჯილდოებული მხარე, რო-
გორც გურია არის. ისეთი ნიადაგი და ნყოფიერი მიწები
არის, რომ სულ მცირედი შრომა საჭირო, რომ სსსურველი ხა-
ყოფი გამოიღოს. თუმცა წლეუანდელი წელიწადი კარგ შე-
დეგებს უქადა გურულებს, სიმინდს და ურძენს კარგი ზი-
რი უჩანდა, მაგრამ ბუნებამ ამ წელსაც კარა თვისი მკაცრი
ბრჭყალები: 19 აგვისტოს, დამით მოვიდა კოკის-ზირული წვიმა
და სულ ერთიანთ განადგურა ყოველივე ნამუშევარი: წალკა უა-
ნები, წაიღო წისქვილები, სხლები და რამდენიმე ადამიანიც იმს-
ხვერზდა; გაათუჭა გზები. რა ქნას სოფელმა? სახლში დარჩეს—
რა გააკეთოს, რითი „გამოკვებოს ზამთარა“. ქალაქში წავიდეს
—რამდენ ხანს უცდას ადგილის შიგნის... ასეთია გურულ გლეხ-
თა დღევანდელი მდგომარეობა!..

სწავლა-განათლების მხრივ ქალაქი ყოველთვის სოფლებზე
წინ არის—ეს სსსოგადო კანონია. მაგრამ ჩვენი გურიის დედა
ქალაქი ოზურგეთი არა თუ წინ, არამედ სოფლებთან შედარებით
ბევრათ ჩამორჩენილია, ავადოთ ს. ხიდისთავი: იქ თეატრის შენობა
უკვე მზათ არის, თუმცა ოზურგეთშიაც კი იყო თეატრის საძირკვე-
ლები შარშან, მაგრამ ახლა აღარც საძირკველი არის, თქვენს ჳი-
რი წაიღო. თუ სხვა სოფლების სამკითხველთაში მკითხველთა
რიცხვი შესამჩნევით მატულობს, ოზურგეთისაში კუთხნაბიჯით მი-
დის წინ და სათქმელათა კი არ დიანს; მოვიყვანოთ თვიურათ მკი-
თხველთა რიცხვი:

აზრილში—443, მაისში—450, ივნისისთვეში—473. ჩემი
აზრით, მკითხველთა ასე მცირედი ზრდა, ისიც ქალაქში, რეგრე-
სიულ სვლათ მიმაჩნია. სამკითხველთა დღეი დათვლილია, რად-
გან გამკე არავითარ ურადლებას არ აქვებს. თუ შარშან წვეროთ
რიცხვი 30-დე ადიოდა, დღეს ოთხი წვეროა: ვამუშაძე—(გამკე),
ნ. გრიაზნაძე, წუჭაძე და თ. კავაძე; თუ შარშან ხშირათ ვრძებ-
ბი იმართებოდა სამკითხველთა ბედი-ბედიან გადასწავლათ, წელს
კვანებს ერთი ვრძება იყო; თუ შარშან უკვლა ყურნალ-გაზრეთები
მოდოდა—წელს აღარ მოდის: „თფილისის დისტრია“ მინ-ბო-
უი“, „მოგზაური“ და „ჯეჯილი“ (ხსენებრი წლით გამწვრილი).
თუ წინეთ ბიბლიოთეკარი თვის-თვეზე დებულბდა ისედაც „დიდ
ჯამაგირს“ (7 მანეთი თვეში) წელს რამდენიმე თვეც ჯამაგირი
არ მიუღია; თუ შარშან სამკითხველთაში წვიმა არ ჩადიოდა, წელს
თუ წვიმა მოვიდა, სამკითხველთაში დგომა აღარ შეიძლება და ერ-
თი სიტყვით, როგორც ჩანს, სამკითხველთა მუტ უკიდურეს მდგო-
მარეობაშია ჩავარდნილი და ამის მიზეზი ვინ უნდა იყოს, თუ
არა სამკითხველთა გამკე წვერები? მათ რომ გული შესტკიოდეთ
და ატიურ მონაწილეობას რომ დებულბდენ სამკითხველთა გაუ-
ჯობესობაში, ისე არ იქნება. როგორც დღეს არის. წარმოდგენები
კარგი ხანია აღარ უნახავს ოზურგეთს, არ ვინცა რა მიზეზაა,
სტენის მოყვარულთა უურადლებობა, თუ სხვა რ.მ. ოზურგეთში

რამე სსსარგელო საქმე ან ძლივ-ძლივობით არსებობს და ან
ისე გაქრება, რომ ვერც კი გაიგებთ მის გზა და კვალს ნეტა
სადა ოზურგეთის „შრომა და კანიალი“, რომელსაც წვერები
დიოტენის ფარნით დაძებენ? კარგი იქნება, რომ წვერები
მის ბედი-ბედადს.

დ. ქარცივაძე.

ს. ლანიჩი (ქუთაისის მარცხ). ლანიჩი ერთობ ზატარა სო-
ფელია. ლანიჩი თუ დღემდე მიერუებული, სიტყვსწეს მთავლებუ-
ლი სოფელი იყო, დღეს სულ სხვასა ვხედავთ.—ამ ზატარა სო-
ფელში დღემდე არსებობდა ერთ-კლასიანი „სამინისტრო სკოლა“,
რომელიც ამ სკოლის მასწავლებლის თავისნობით, და სოფელ-
ლების დახმარებით ამ სამოსწავლო წაიდან გადაკეთდა ორ კლას-
სიანათ; არსებობს ამ სოფელში სამკველო ერთ კლასიანი სკო-
ლა.—ღანიჩის აქვთ შემხსხველ-გამსესხებელი კასა.—ზოგიერთ
ღანიჩის ახლგაზდაებს ფრიათ საყურადღებო და მოსწონი აზრი
დაბადებიათ; მათ სურთ ღანიჩში გახსნან „საკვირაო სკოლა“.
რომელიც თავის მტკედებით ბევრ წერაკითხვის მცოდნეთ გასთვის,
აგრეთვე მცადინებობენ გახსნან სამკითხველო.

ღანიჩში ამ ბოლო დროს რამდენიმე სავაჭრო დუქანი
გახსნეს, ამ სოფელში უმეტესათ ვაჭრობა წარმოებს კვირა-უქმი
დღეები, უმეტესი მთავაჭრები ს. კულაშ-დან ჩამოსული ებრაელები
არაან. ეს ვაჭობატონები ძალიან ხშირათ დამხალ საქონელს ასა-
დებენ სოფელთა-შორის. ამ მოვლენას სსსურველია მეტი უურად-
ლება მიქცეს ვისგანაც ჯერ-არს.

უმეტეს $\frac{0}{10}$ ღანიჩის მცხოვრებლებისს შეადგენენ
გლეხები. როგორც მთელი ქვემო იმერეთის სოფლებში, კერძოკ
ღანიჩში სიმინდის სსსავალი წელს უხვია.

ილია ბახტაძე.

მუთაისი. 23 სექტემბრის საბჭოს სსდამას გასარჩევი საქ-
მეებიც ბევრი ქონდა და ხმოსნიიც ბლამათ დაესწრო, რიცხვით
39 კაცი, რაც ჩვენი საბჭოს ისტორიაში იშვიათი მოვლენაა. 23
საქმეში მოხდა ორე კენჭობიან შეხებობა და აღბათ ამნ გამოიტ-
ყუა ქუთათური ხმოსნ-კენჭოსნები. ზირველი შეხედვით გგონიათ,
რომ რაც უფრო მეტი ხმოსნია საბჭოში მით უმჯობესია, მაგრამ
არა, ქუთაისის საბჭოს ხმოსნთა მთელი რიცხვიც რომ დაესწროს
მანინ, მოლანარკეთა ისევე მუდმივი „რეისტები“ დარჩებიან,
სხვებს მოლოთ ალაგი უკავიათ, ასე ვთქვათ, სტატისტიკების
როდეს ასრულებენ.

სსდამა გახსნა სსდამოს 8 საათზე, ქალაქის მოურავის დ.
ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით. ზირველი საკითხი—ამსხე-
ბელ კომისიის მოხსენება კონცესიონერ მიხაილოვის აუხების შესა-
ხებ გაბაშიფლების გორაზე—გადდებულ იქნა და საბჭო გადავიდა
შემდეგ კითხვაზე, რომელიც ქუთაისში ქიმიური ლაბორატორიის
დაარსებას შეეხებოდა. ამ კითხვის შესახებ გამკეობამ საბჭოს განსა-
კუთრებული მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში მთავრეთ იყო განმარ-
ტებული თუ რამდენათ საჭიროა დღეს კარგათ მოწყობილი ლაბორა-
ტორია ქიმიური ახალიზის სსსმელებისა და მანუელობისა. ასეთ
ფრიათ სსსარგებლო დაწესებულებას გამკეობა აუცილებელ საჭიროე-
ბათ სთვლის, მაგრამ, როგორც ყოველთვის არც დღეს აქვს მას
ამ საქმისთვის სკამარისი თანხა. საკუთარის ძაღდობით მას არ შე-
უძლია გამართოს ლაბორატორია, რომელსაც ერთხანთ 43.000
მანეთი სჭირდება და შემდეგ, ყოველ წლიურათ, როგორც პროფ.
პეტროაშვილმა გამოიანგარიშა *) 11000 მან. ქალაქის განკარგუ-
ლებასა მხოლოთ 32090 მან. საურთიერთო ნდობის სსზ. წმინდა
მოკებიდან ქუთაისში ტენიკურ და სახელოსნო ცოდნის გასავრ-
ცელებლათ გადადებული. ასეთი მცირე თანხით ლაბორატორიის

*), ეს ანგარიში „კალში“ დაბეჭდილი იყო.

დაარსება შეუძლებელია—ამბობს გამგებების მოხსენება, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის; ისინი უსათუოთ დაგვიხმარებინან, მათა საბჭოს წარმომადგენლები მოწმდინებული არიან მამაკალაქობის მრეწველთა საზოგადო კრების წინაშე იშუამდგომლან. გამგებებისა და ზოგიერთ ხმოსანის აზრით ხსენებული ლაბორატორია შეიქნება უმაღლეს ზნაქტიკულ სკოლათ ჩვენში სპეციალურ ცოდნის გასავრცელებლათ. საბჭომ სიამოვნებით მიიღო გამგებების მოხსენება.

შემდეგი საკითხი—სახიდე გადასახადი (არა ზირდაზირი) გარჩევად გამგებების მოხსენებით დაიწყო. როგორც ვიცით 1872 წლიდან მოკადებულია ქუთაისის ხალებზე ეტლით და ცხენით გამსვლელ-გამომსვლელთ გადასახადი ხდებათ. ეს გადასახადი თუმცა დროებითა იყო, მაგრამ ჯერაც არ მოხსნობიდა, რადგანაც ის, როგორც გამგებების მოხსენებიდან სჩანს ისეთი შემოსავლის (წლიურათ 17000) წყაროა, რომლის მაგიერობას სხვა ვერ გასწევს. თუმცა შარშან სამინისტრომ ასეთი გადასახადი „უსამართლოთ“ დაინახა და წინადადება მისცა ქალაქს: ხსენებული სახიდე გადასადი მოხსნე და სხვა წყარო გამოიხსნე, მაგრამ ქალაქის გამგებმა მინც ხელმეორეთ აზრების მთავრობასთან შუამდგომლობას, რათა არსებული გადასახადი ხუთი წლით კიდევ დარჩეს, რადგანაც სხვა წყარო რომელსაც შეეძლოს ხსენებული გადასახადის მაგიერობა გასწიოს, მას არ მოეპოება. სამინისტრო უსამართლოთ სთვლის სახიდე გადასახადს იმ მოსახრებით, რომ ის ხდება მცხოვრებთა დარბი ნაწილს, ქალაქის გამგებმა კი ამტკიცებს, რომ ხსენებული გადასახადი დარბებს კი არა მდიდრებს ხდებათ. მაგრამ ნუ დაივიწყებს ჩვენი ქალაქის გამგებმა, რომ არსებულ გადასახადს თუ შეტი არა, ხსენვარი მინც დარბაი ხალების ჯიბიდან გადადის ქალაქის კასში თუ არ ჯერა ჩვენს გამგებებს, შეუძლია სკუთარის თვალთ დაინახოს, მხოლოდ საჭიროა ერთი, არა დღე ხადის ურში გაჩერდეს. საბჭომ ეს მოხსენებაც სიამოვნებით მიიღო და დაავალა გამგებებს უმაღლეს მთავრობასთან ხელმეორეთ იშუამდგომლოს.

როგორც იცით ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსმა ჩვენს ქალაქს მეორე ღიანდაგის შესახებ უარი თთხრა. მას აქეთ არ გასულა ერთი თვეც, რომ ქალაქის გამგებმა მეორე ღიანდაგი მოუწინასწავს. რომელიც სურს ქუთაისზე გამოიყვანოს. ეს არის ვლადიკავკავის რკინის შტო, რომელიც ხსენებულ რკინის გზის მართველობას სურს ამიერ კავკასიის და შავი ზღვის ნაპირებს შეუერთოს. ხსენებული რკინის გზის მართველობის აზრით მამაკალაქი შემართებული რკინის გზის ღიანდაგი გადის შავი ზღვის ნაპირებზე, ჩაუვლის ზუგდიდს და შეუერთდება ფოთის ღიანდაგს ახალ-სენაკში. ქ. ქალაქის გამგებმა სურს ისარგებლოს ამ შემთხვევით და იშუამდგომლოს გზათა მინისტრთან და მოკლავარაკის ვლადიკავკავის რკინის გზების უფროსს, ინჟინერს კერბერს, რათა ხსენებულ ღიანდაგის მიმართულება შეცვლავ იქნეს. ქ. ქ. გამგებმა სურს ხსენებულმა ღიანდაგმა ზედ ზუგდიდზე-სენაკს და ქუთაისზე გააროს. გამგებების გამომანგარიშებით იმ მიმართულებების რკინის გზის ეკონომიური მხარე, რომელსაც ის უთითებს ე. ი. ზუგდიდი, ხინი, უთაისი სრულიათ უზრუნველ ეფილია, რადგანაც სხვას ეველაფერს, რომ თავი დაფანებთ, მარტო 90.000.000 ფუთი ხე-ტყე ექნება გზას გადასატანი წლიურათ. რაც შეეხება ტექნიკურ დაბრკალებას, ეს по „рекогносцировка“ техника Джорджадзе არც ისე ძნელია, რომ მთავრობამ უარი გვითხრას, იმბობს გამგებების მოხსენება. საბჭომ ესეც ერთხმით მიიღო და გადაწყვიტა მთავრობასთან შუამდგომლობის აღსაძრავათ და შემოსენებული რკინის გზების უფროსს, ინჟინერ კერბერსთან მოსაუბარაკებლათ შეტერბურგში დებუტატია გაკზავნოს.

შემდეგი რი საკითხი, რომელიც ამ სადამოს გაიჩნა, შეეხება—პირველი საწარის მოკლანზე ბუდეების აშენებას, მეორე საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის თხოვნას. საწარის მოკლანი, რომლის სიგრეცე 40 კ. სავ. არ აღემატება, ერთათ ერ-

თი ადგილია, სადაც სოფელ ხაღის საშუალება უძლევა, განკარგოს და თავის ნაწარმოები ხეიდან ფასებში გაეიდოს. გამგებმა ამ ადგილსაც უკლებს, რადგანაც აქ ათი ბუდის დადგმის შემდეგ უძლავნ ცოტა ადგი დარჩება. მწვანე ბაზარი ბუდეებით უკლებს და სხვა ბუდეებით, მამ სადა წავიდეს სოფლის მწარმოებელი, ურამლისადე ერთ დღეს არ შეუძლია გაძლოს ქუთაისში. ნუ თუ რ მუჭა ჩარბ-ბაცაცებს ჩაურადეს ხელში. ეს ვუკანთეა ქალაქის ზატრონობაა ბ. გამგებმა, და მასთან ჩვენ „მამებო“ ვინაიდან გამგებების აზრს თქვენც კვერი დაკართ.

საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე—ქ. სმაგინის თავის მამაკალი საავადმყოფოსთვის ქალაქს მოხერხებულ ადგილს თხოვდა სადმე შუაგულ ქალაქში. ასეთი მოხერხებული ადგილი შუა ქალაქში აღარ აღმოჩნდა, ამიტომ გამგებბსთან ერთათ საბჭომ მთხოვნელებს სადროაში დაზირდა ადგილი. სადაც ჰყერი კარგია და ხაღის ხმაურობაც არ შეაწუხებს. მხოლოდ მგლები კი რა მოკახსენებთა მაგრამ მგლები სად არ არიან!

დანარჩენი კითხვები შემდეგისთვის გადადეს და დაიწყო კენჭობა. ამოსარჩევი რე ქალაქის მდივანი. დასახელებულ იქნენ ი. ჯაფარიძე და ს. კრინიცკი. წერილობით ზარველმა მიიღო რტი ხმა, მეორემ ცხრა. თავმჯდომარე ეკითხება ბ. კრინიცკის, გსურთ დაიდგათ უუთი, თუ არა? როგორ არა, დამიდეითო. დაუდგეს უუთები, გავიდა რამდენიმე სუთი და ის იყო კენჭის ურა უნდა დაეწყოთ, რომ ბ. ქრინიცკი უარს უცხადებს; არ მსურს, ჩამოდგნით ჩემი უუთით. მის მაგიერ ახლათ წამოყენებულ ხოჯიანოკს დაუდგეს უუთი. ბ. ჯაფარიძემ მიიღო 33 თ. 3 შავი, ბ. ხოჯიანოკმა 4 თ. და 31 შავი. ამგვართ გავიდა ი. ჯაფარიძე. კრება დამის 11 საათზე დაიშალა.

Parole.

ს ზ ა ლ ი

გასული წლის დამდგეს, ზოგიერთ სააღებ-მიცემო და სამრეწველო დაწესებულებებს მოსამსახურეთა შორის სუხუმში აღიძრა კითხვა, რომ საჭიროა და სასურველი დაარსდეს აქ ისეთი საზოგადოება, რომელსაც ექნება მიზნათ შეერთება ერთ ჯგუფათ სხვა და სხვა პროფესიის ხაღისა; აღმოჩენა წევრების და აგრეთვე მათი ოჯახისთვის, როგორც მატერიალური, აგრეთვე გონებრივი დახმარებისა; გაქვირების დროს მიცემა სესხისა; თუ წევრი, რაიმე მიზეზის გამო დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდან, ან თავის ხელობიდან, „საზოგადოებამ“ უნდა იზრუნოს იმისი ალაგის შოვნისათვის; უნდა იზრუნოს, რომ წევრებს მიაწოდოს გონიერი და სასარგებლო გასართობი, როცა ისინი თავისუფალნი იქნებიან შრომისაგან; უნდა იზრუნოს მთელი წევრების გონებრივათ და ზნეობრივათ განვითარებისათვის, და სხვები. ასეთი აზრი თავისთავათ ახალი არ არის; ამისთანა საზოგადოებები ბევრია დღეს რუსეთის იმპერიაში, აგრეთვე ჩვენს კავკასიაშიაც, ცოტა განსხვავებით. ისინი იწოდებიან: „ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოებათ“ და სხვ. მაგრამ ასეთი საზოგადოება სუხუმისთვის ახალი ხილია, თანაც არა თუ სასურველი, აუცილებელი საჭიროც, რასაც მკითხველი ქვევით დაინახავს. სუხუმში დღითი დღე მატულობს. ჩნდებიან ახალ-ახალი დაწესებულებანი, როგორც სავაჭრო ისე სამრეწველო. მთელი სუხუმის მიდამოები მოფენილია თუთუნის პლანტაციებით, სადაც ასობით საჭიროა მშრომელი ხაღი. ახლა გადახედეთ ბაღებს, საავარაკო ადგილებს, რომელნიც ედემის ბაღს ემზავებებიან. ნახეთ მათი მომვლელ-მომშენებელნი! გიკვიროთ როცა ხედავთ, რომ ამ პატარა ქალაქს ასეთი დიდი რიცხვი სჭირდება განვითარებული, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ინტელიგენტი მუშა ხელისა. თვით სუხუმის, ამ ათი წლის წინათ, პატარა დუქნები, ბუდეები და საწვრიმანოები ისე გაიზარ-



დენ, რომ ახლა ადვილათ გაეჯიბრებიან კავკასიის დიდ ქალაქების მალაზიებს. ასე, რომ თუ დღემდის მათი პატრონები უბრალო შეგირდების წყალობით ადვილათ გამოდიოდნენ, დღეს შეგირდებს გარდა საჭირო შეიქნა უფრო მაღალი ხარისხის მოსამსახურეები და კიდევაც ბევრმა გაიჩინა: ნოქრები, ფულის ამღები, კანტორშიკი, კორესპონდენტი და სხ. ამ ცოტა ხანში აქ უნდა დაარსდეს რეალური სასწავლებელი. მალე დაიწყება ნავთ-სადგურის კეთება, რკინის გზითაც შეერთდება ამიერ-კავკასიის და რუსეთის რკინის გზებთან. ერთის სიტყვით სუხუმი, უბრალო მივარდნილი ქალაქი, რომლის არსებობა ბევრმა ჩვენგანმა მარტო გეოგრაფიის სახელმძღვანელოდან ვიცოდით, იმ სუხუმმა, რომელსაც ბევრი გაუჩინებდა, როგორც ციებ-ციხელებით მდიდარ ალავს, ეხლა ლამის დაიჭიროს პირველი ალავი მთელი შავი-ზღვის ნაპირის ქალაქებთა შორის. რასაკვირველია, ქალაქის ზრდასთან ერთად, გაიზრდება მშრომელი ხალხის რიცხვიც. ახლა ვიკითხოთ, რა დაუარსებიათ სუხუმის მამათ-მთავრებს თავის მოსამსახურეებისთვის? ჯერ არაფერი და იმედი გვაქვს არც მომავალში დავიარსებენ. რა არის სუხუმში მოსამსახურეთათვის? სად ატარებენ ისინი დროს? ვინ ეხმარება მათ ცხოვრების ცუდ პირობებში? ეს ხომ ცხადზე უცხადესია, რომ იმათაც აქვთ სხვა და სხვა მოთხოვნებიანი და სურვილი, მაგრამ მათი განხორციელება დღეს ყოველთ-შეუძლებელია, რადგან მათ შორის არ არის არაფერი შეწყვეტილი, შემაკავშირებელი. ვაქრებს და სამხედრო მოხელეებს აქვთ თავისი კლუბი და თავისებურათ დროს ატარებენ, მიუხედავად ამისა, ზაფხულობით სულ ტოვებენ აქაურობას და მიეშურებიან სხვა და სხვა საგარეო და კურორტებისაკენ. მოსამსახურეებისთვის რას იღარდებენ?! მათთვის, ყავახანები და სამიკტანოები სკამარისა... და მართლაც მთელი ეს ბრბო მშრომელ ხალხისა, მიუხედავად მისი მატერიალური მდგომარეობისა, თავისუფალ დროს ატარებს ამ ალავებში; ეს ასეც უნდა იყოს, რადგან აქ არ არსებობს წიგნთ-საცავ-სამკითხველო. მართალია, ერთ კერძო პირს აქვს სამკითხველო, მაგრამ საუბედუროთ ის ვერ აღწევს მიზანს, რა მიზეზის გამო: ერთი—ბევრს ახდევინებს მკითხველს; მეორე—ცოტა აქვს წიგნები და რაც მოეპოვება, ისიც არაა რიგიანი შინაარსისა.

დრო გამოშვებით აქ იმართება კონცერტები და წარმოდგენები, მაგრამ ძალიან იშვიათად და ისიც კლუბში. აქ ორნაირი დაბრკოლება ელოდება წინ ჩვენს ნოქარს; ერთი, რომ შესვლის ფასი ძვირია და მეორეც, განა გაბედავს ის გვერდზე ახოუჯდეს თავის ალას! მოშორება ყოველგვარ გონებრივ საზრდოს; გასართობის უქონლობა, მოწყენილობა მოქმედებს აღამიანზე მომაკვდინებლათ. და კიდევაც იმიტომ, რომ ჩვენი ნოქრები ატარებენ დროს ლულ-ხანებში და ასეთ მდგომარეობაში მყოფმა მოსამსახურეებმა და ნოქრებმა, რასაკვირველია, დიდის აღტაცებით მიიღეს ეს წინადადება, რომ სუხუმში დაარსდეს „საზოგადოება“. კიდევაც ორ-სამ დღეში ხელ-მოსაწერი ფურცელი გაივსო. 140 კაცმა მოაწერა ხელი, ესენი იყვნენ სულ სხვა და სხვა პროფესიის ხალხი. „საზოგადოების“ მსურველთა ასეთი შედარებითი დიდი ციფრი იმის მაჩვენებელია, რომ სუხუმში ასეთი საზოგადოების საჭიროება მომწიფებულია. ამიტომ ინიციატორებმა, სათანადო მთავრობის ნება-რთვით 27 იანვარს მიმდინარე წლისა, მოიხმეს ყველა ხელმოწერილები ქალაქის თვით-მართველობის შენობაში, რომელიც დიდას თავაზით დაუთმო ქალაქის თავმა ბ-ნმა დმიტრიევმა. კრებამ განსაჯა რა კითხვა „საზოგადოების“ დაარსების შესახებ დაადგინა: ამოიჩინეს

კომისია, რომელსაც უნდა შეიმუშავოს პროექტის წესდება და წარმოადგინოს მეორე კრებაზე, რომელიც შეიქმნება დღევანდელი შნული 10 ფებერვალს. კომისიამ ისარგებლა რეალური უსტავებით, შეიმუშავა დანიშნულ დღისთვის პროექტი უსტავებისა და თან მისაკუთრა სახელ-წოდება: «Сухумское общество взаимнаго вспоможенія, частному, служебному и профессиональному труду». ამ გვარ საზოგადოებაში წევრათ შეუძლია შევიდეს არა თუ მარტო ნოქრებს, არამედ სხვა ხელობის ხალხსაც; მაგ. ადვოკატებს, ექიმებს და სხვებს, აგრეთვე ყველა ხელობის ხალხს, გარდა შავი მუშისა და ხელზე მოსამსახურისა. პროექტი, ათ თებერვლის კრებაზე, რომელიც მოხდა ისევ ქ. თვით-მართველობის შენობაში, განიხილეს ყოველი მხრით, მაგრამ სამწუხაროთ და სასიციხვოთ აქაური ნოქრებისა, აღმოჩნდნენ ნოქართა შორის ისეთი პირები, რომლებმაც არ ისურვეს ამნაირი ტიპის საზოგადოების დაარსება.

ნოქრებმა მოითხოვეს დაარსება „ნოქართა საზოგადოებისა“. კრება გაიყო ორ ბანაკათ: ერთი თხოულობდა დაარსებას „ნოქართა საზოგადოებისა“; მეორე კი მქიდროთ ადგა ერთხელვე შემუშავებულ პროექტს. მთელი საათის კამათის შემდეგ კრებამ ხმის უმრავლესობით დაამტკიცა კომისიის პროექტი ცოტა შესწორებით; ამასთანავე კრების გადაწყვეტით საქმის წარმოება და შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობასთან მიენდო შემდეგ პირებს: 1) ქ. თავს ბ-ნ დმიტრიევს; 2) მაქსიმოვის ხერხის ქარხნის მმართველს ბ-ნ ალაფუზივს; 3) ბ. ანისიმოვს, ბ. ს. მეტაკას და გ. იანსონს.

ყოველივე მიდიოდა რიგზე და ინიციატორებს სურვილის განხორციელებას ცოტა უკლდა, მაგრამ მოწინააღმდეგეები არ ცხრებოდნენ, ახდენდნენ კრების წინააღმდეგ აგიტაციას და ბევრი ნოქარი დაიყოლიეს თავის უფუნთურ სურვილზე. ბოლოს მთელი ბრბო ნოქრებისა გადაა განზე და რამოდენიმე დღის შემდეგ მეორე კრების დასრულებისა, გამოაცხვეს დიდი არზა ორმოცი კაცის ხელ-მოწერილი და მიართვეს კრების თავმჯდომარეს, ბ-ნ ზახაროვს. (უნდა შევნიშნოთ, რომ გარდა ორისა ყველა ქართველებია). ეს ვაჭბატონები თხოულობდნენ შემდეგს: ყოველის მიზეზის გარეშე უნდა გამოიცვალოს საზოგადოების სახელ-წოდება და გადაკეთდეს «Общество прикащиковъ»-ით. ამასთანავე ამ საზოგადოების პრინციპიალური მიზანი უნდა შევიწროვდეს, რადგან ბ.ბ. პრიკაშიკებს სრულიად არ სურთ იქონიონ ამხანაგობა სხვა პროფესიის ხალხთან!!! წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კატეგორიულ უარს აცხადებენ საზოგადოების დაარსებაზე და თხოვდნენ ბ-ნ ზახაროვს გაუქმებას იმათი ხელ-მოწერილი ქალაქისა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ასე უკუღმა დატრიალდებოდა ეს საქმე და საკვირველია, როგორ მოსწონთ თავი ჩვენს ნოქრებს, მარტო იმიო, რომ ისინი ნოქრები არიან! მიკვირს, რომ ამ ხალხს დღემდის ვერ შეუღწია თავისი ინტერესი. აგილოთ, მაგალითათ ნოქართა ამხანაგობა დაარსდა. ერთი ძმა ნოქარია და ჩაეწერა წევრათ. მეორე მესაათეა—ამ უკანასკნელს არ მიიღებენ, რადგან იმას შრომის სუნი სდის! აფსუს სუხუმის ნოქრებო, რა კარგათ შეგიგნიათ დღევანდელი ცხოვრების პირობები?!

არ ვიცი სუხუმის ნოქრებმა დიდის ხნით შეაჩერეს საქმე თუ არა, მაგრამ, როგორც ისმის ინიციატორები საქმეს მალე განახლებენ და იმედიც უნდა ექონიოთ, რომ უნოქრებოთაც ადვილათ შესძლებენ საქმის ფეხზე დაყენებას და მაშინ სუხუმში გამდიდრდება ასეთი სიმპატიური საზოგადოებით, რომელსაც ყოველი შეგნებული აღამიანი მოიწონებს

და სტნობს სასარგებლოთ. ვსთხოვ ქართულ რედაქციებს გა-
დაბეჭდონ ეს წერილი.

ნაქარი ღუნღუა.

**ქუთ. გუბერ. თავად-აზნაურობის რწმუნებულთა ს.,
განგებოლ კამბა.**

თავად-აზნაურობის რწმუნებულთა არაჩვეულებრივმა კრე-
ბამ მიმდინარე წლის 24 აპრილს, ბავშვების ასაზრდელათ უმა-
ღლესათ ბოძებულ ოცი ათასი მანეთის გასაწესრიგებლათ გან-
საკუთრებული კომისია ამოირჩია. მაშინდელმა კრებამ ორი
აზრი გამოთქვა ხსენებულ ფულის მოხმარების შესახებ. ერთს
სურდა სასწავლებელი, მეორეს სტიპენდიები საშუალოსა და
უმაღლეს სასწავლებლებში. კომისიამ,—რომლის სხდომებსაც
24 წევრში 5—6 ესწრებოდა თურმე—განიხილა ეს ორი აზ-
რი და უპირატესობა სტიპენდიებს მისცა, რომლის შესახებ
წესდებაც შეიმუშავა და 3 სექტემბრის საგანგებო კრებას წა-
რუდგინა. კომისიის არჩევანმა კრების უმეტესობაში სასტიკი
წინააღმდეგობა გამოიწვია. რწმუნებულმა **გ. ქარქაშვილმა**
მოითხოვა მოტივება, ის მოსაზრებანი, რომლითაც ხელმძღვა-
ნელობდა კომისია, როდესაც უპირატესობა სტიპენდიებს მის-
ცა. კომისიის ერთა წევრთაგანმა—**ბ. გ. ლორთქიფანიძემ** თავის
მოგონო სიტყვაში მოტივით ის მოიყვანა, რომ ჩვენ სპე-
ციალურათ განათლებული პირები ცოტა გვყავს; მართალია,
შკოლაც ისეთივე სასარგებლო და საჭიროა—განაგრძო კითხ-
ვებ, როგორც უმაღლესი სწავლა-განათლება, მაგრამ უპირა-
ტესობა უმაღლეს სპეციალურ განათლებას უნდა მივცეთ,
რადგან ის მოგვცემს ჩვენ მეცნიერებს და სახელს გავითქვამ-
თო. **ბ. გ. ქარქაშვილი და ს. ჯაფარიძე**: ვისაც კი ჩვენი
საშუალო სასწავლებლის კარებთან გაუვლია, ვინც იცის სკო-
ლაში შესვლის მსურველთა რიცხვი და სასწავლებლის გარედ
დარჩენილ მოწაფეთა რაოდენობა, ვისაც უნახავს სასწავლებ-
ლის კარებთან მოტირალი დედ-მამა, ის ადვილათ
მიხვდება, თუ სად არის საჭირო დახმარება, მიხვდება, თუ
რას უნდა მოხმარდეს უმაღლესათ ბოძებული ფული. ამისთანა
დროს გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში სტიპენდიების
დანიშვნა დადი უსამართლობაა; უსამართლობაა, რადგანაც ეს
იმას ნიშნავს, რომ **ფეხზე დამდგარს, ცოცხათ თუ ბეგრათ
წელში გამართულს დაგვხმანათ და სასწავლებლას გარეთ დარ-
ჩენილები უეუწადლებათ დაგვტოვათ.** სტუდენტები, რაც უნდა
იყოს, გზაზე და მდგარი და თავის თავადაც გაიკაფავს გზას. მე
არ ვიცი არც ერთი მაგალითი, რომ სიღარიბით სტუდენტს
უნივერსიტეტი და გიმნაზიელს გიმნაზია დაეტოვებინოს, თქვა
ბ. ქარქაშვილმა—თუ ტოვებენ ეს სიზარმაცის, ან უნიჭობის
გამო, მაგ. გიმნაზიიდან ხშირათ გამოდიან თავად-აზნაურთა
შვილები, მაგრამ ეს სიღარიბით კი არ მოსდით, არამედ ვერ
სწავლობენ, ჩვენი უმთავრესი და პირადი მიზანი მოსწავლე
უმაღლესათ რაცხვას გამწავლება უნდა იყოს და არა სასწავ-
ლებელში უკვე შესულთა დახმარება. **ბ. კარაძეს** გონია,
რომ უნივერსიტეტებში სტიპენდიების დანიშვნით ჩვენ მეცნი-
ერებს შევქმნით და სახელს გავითქვამთ, მაგრამ ეს ტყუილია:
მეცნიერების რა მოგახსენო და ჩვეულებრივი „დილობიანე-
ბი“ კი ჩამოუვა სამშობლოს; ეს ერთი, მეორე—სადაც უმე-
ტესობა უსწავლელია, იქ ვერავითარი მეცნიერება ვერ მოი-
კიდებს ფეხს. **ბ. ს. ჯარჯიკია**—კომისიის მოტივები მოვთხო-
ვეთ და თავის ერთ წევრის პირით (კირილე) მეცნიერებისა
და უმაღლესი სწავლის საჭიროებაზე მივითითა ხელი და თა-
ნაც დასძინა: ჩემი აქ ნათქვამი კომისიის სხდომებზე ნალაპა-
რაკევის ერთს მეათედსაც კი არ შეადგენსო. მოყვანილი მო-
ტივები და ნათქვამი ჩემის ფიქრით არაფერს არ ნიშნავს, და

თუ ეს კომისიის ნალაპარაკევის მეათედს შეადგენს, მაშინაღ-
მე ათჯერ არაფერი საბუთები მოუყვანია კომისიის წევრთა
უმრავლესობას, რომელმაც უპირატესობა სტიპენდიებს მიანი-
ჭა. რაც შეეხება უპირატესობას მე ვარჩევ **სასწავლო და სასტიკი**
ლებელს, გიმნაზიას, და თუ ეს არ მოხერხდება, ყოველ მაზ-
რაში ორ-სამ პირველ დაწყებითი შკოლას, რადგანაც **лучше
имѣть образованную массу и до поры до времени не
имѣть ни одного студента, нежели двадцать, сорокъ
специалистовъ и темную массу.** **გ. ლორთქიფანიძე** იტყა-
დებს, რომ მისთვის ორივე ერთია: შკოლაც და სტიპენდიაც;
მას არავითარი პირადი ინტერესები არ აწუხებს და თუ სტი-
პენდიებს აძლევს უპირატესობას, ეს იმიტომ რომ ოცი ათ-
ასი მანეთით არ შეიძლება დაარსდეს ისეთი სასწავლებელი,
რომელსაც საყოველთაო მნიშვნელობა ექნება და იმდენი
სტიპენდიის მოტირანოს, რამდენიც სტიპენდიებმა. **ბ. კარაძე**
ლორთქიფანიძეს მხარი დაუჭირა **ბ. გ. აბაშიძემ** და ისიც ამ-
ხედრდა სასწავლებლის წინააღმდეგ, რადგანაც მათი აზრით
ოცი ათასი მანეთი, ერთი რომ არ არის საკმარისი სა-
შუალო სასწავლებლისთვის და რომც ეყოს—სასურვე-
ლიც არ არის, ვინაიდან მოსალოდნელია შკოლამაც და-
კარგოს თავის სასურველი ხასიათით. **ბ. ი. აბაშიძე**—
სტიპენდიების მომხრეს დავიწყებით გაჭირვებული თა-
ვად-აზნაურობა, რომელთა შვილები არამც თუ საშუალო
და უმაღლეს განათლებას, ანბანსაც კი ვერ სწავლობენ და
უკაცრავათ პასუხია, მეზობლის ვენახში ღამ-ღამობით ყურ-
ძენს იპარვენ. **ბ. ი. ბაქრაძე**—როგორც **ბ. ქარქაშვილი**—
ითხოვს მოტივებს და განაგრძობს: კომისიას უნდა წარმოედ-
გინა არა ერთი, არამედ რამდენიმე პროექტი, საკმაოთ დასა-
ბუთებული, რომ კრებას საშუალება მიეცემოდა უკეთესი მათ
განი ამოერჩია. სტიპენდიების დანიშვნა ჩემის აზრით დიდ
ცოდვაა; საერთოთ ჩვენი სტუდენტები ღარიბებია, მაგრამ შიმ-
შილით რომ კვდებოდნენ ისეთები, როგორც ზოგიერთებისა
გან მესმის—იშვიათია, მართალია, არიან ისეთი სტუდენტე-
ბი, რომელთაც არ ყოფნით შინიდან გამოგზავნილი ფული
მაგრამ ეს თავიანთი უთავბოლოობით მოსდით. აუცილებლად
საჭიროა სასწავლებელი. **ბ. კანანიცვი** ისიც კი დაუმატა ამას
რომ ჩვენი სტუდენტების უმეტესობა **კარტში და ქაღალში**
აკებს შინადას გამოგზავნილ ფულს, ბ. ი. ჯაფარიძემ—
(რომელმაც წელს დაამთავრა სწავლა) მშვენივრათ დაუსურ-
თა კრებას ჯერ სტუდენტების ცხოვრება და შემდეგ გაჭირ-
ვებული თავად-აზნაურობის მდგომარეობა და ნათლათ ჰყო-
რომ დახმარება უკანასკნელს უფრო ეჭირებოდა, ვიდრე პირ-
ველს. სამი დღის კამათის შემდეგ, როგორც იქნა დაუდგ-
ყუთი შკოლას და სტიპენდიას. 29 ხმით წინააღმდეგ 26-
გავიდა შკოლა. შემდეგ ამორჩეულ იქნა კომისია, რომელმაც
უნდა შეიმუშაოს სხვა-და-სხვა ტიპის სასწავლებლის პროე-
ტები და საკმაო საბუთებით წარუდგინოს მომავალ ჩვეულე-
რივ კრებას, მისში. კომისიის წევრებათ ამოირჩიეს **ს. ლ-
ლობერიძე, ს. ჯორჯიკია, კ. ლობჯინიძე, ნ. მკურნალ-
გ. ჯაფარიძე, ი. ოცხელი, მ. დარახველიძე, ი. ბაქრაძე,**
ბებურიშვილი და ვ. აბულაძე. კომისიას ნება აქვს თავი
სხდომებზე გარეშე მკოდნე პირებიც მოიწვიოს.

Parole.

როდესაც მოვკვდი.

როდესაც მოვკვდი; გულ-ხელ კრეფილი
მნახო კუბოთი ვიყო მდებარე,
გულს მეცემოდეს დედის ცრემლები,
მგლოვობდეს თვის შვილს, ტანჯულ, მწუხარე,—



გთხოვ, მეგობარო, მის წმინდა ცრემლში არ ჩაანთხიო შენი გესლ-შხამი, დასაკრძალავათ არ მისვენო სამარის კარათ შენ ჩემი გვამი.

სიცოცხლის დროსვე ბევრჯერ დამმარხე და თუ უგრძნობ ლეშს თავს მოეველები კვლავ შეურაცმყოფ... მკვდარს არ სჭირია ფარისევლური გლოვა, ცრემლები.

ბ. ახოს-პირელი.

ნიღაზი

(ჩეხვიდან).

ქალაქ №-ის კლუბში საქველ-მოქმედო მიზნით მასკარადი იყო გამართული.

შუა ღამის 12 საათია, არა მოცვეკარი უნიღაზო ხუთი ინტელიგენტი სამკითხველო ოთახში დიდ მაგიდას შემოსხლო-მოდენ, ცხვირები გაზეთებში ჩაეჩხირათ და კითხულობდენ, ამოქნარებდენ, ანუ როგორც ერთი სატახტო გაზეთის ლიბერალი კორრესპოდენტი ამბობდა: — „აზროვნობდენ“.

საზოგადო დარბაზიდან კადრილის ხმა შემოდიოდა; კარებთან მოსამსახურეების დაუცხრომელი ფეხის ხმა და ქურქელის ხრიალი გაისმოდა. თვითონ სამკითხველოში კი სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

— მგონია აქ სჯობია! უეცრად მოესმათ დაბალი შეხუთული ხმა, ასე გვეგონებოდათ ვიღაც ფეხიდან ლაპარაკობსო.

— აქეთ, ბიჭებო, აქეთ!

კარები გაიღო და სამკითხველოში ფართო ბეჭებისანი. მეეტლეთ გამოწყობილი ნიღაზიანი შემოვიდა; თავზედ ფარშავანგის კალმებითი გაწყობილი ქუდი ეხურა. მას შემოყვარა ნიღაზიანი ქალი და მოსამსახურე ხონჩით, რომელზეც ეწყო ბოთლებით ლიქიორი, ღვინო და ჭიჭები.

— აქეთ! აქ კიდევაც გრილა! თქვა მამა კაცმა.

— ხონჩა სუფრაზე დადგი! დაბრძანდით, ქალბატონებო! იგუარო აღია ტრიმონტსან. თქვენ კი, ვაჟბატონებო, იქით დაიწვიეთ! სთქვა ეს, დაბარბაცდა და რაოდენიმე ჟურნალი მაგიდადანი გადაისროლა.

— აი აქ დადგი! თქვენ კი, ბატონო მკითხველებო, თუ შეიძლებდეს, იქით აქეთ მიიწ-მოიწვიეთ. აქ გაზეთებისა და პოლიტიკის დრო არ არის. თავი დაანებეთ!

— უმორჩილესათ გთხოვთ ხმა დაიმდაბლოთ! უთხრა ერთმა ინტელიგენტთაგანმა და გადახედა ნიღაზიანს სათვალეებ ზემოდან.

— აქ სამკითხველოა და არა ბუფეტი! აქ ლოთობის აღდგილი არ არის!..

— რატომაც არა? სუფრა ირყევა აუ ქერი ინგრევა? ახირებულთა თქვენმა სიცოცხლემ! რა დროს ლაყობაა! დაყრდნობა გაზეთები! რაც წაიკითხეთ ისიც გეყოფათ! ისედაც ძალიან ჭკუიანები ხართ! თვალმსაც აწებებს ამდენი კითხვა, სათავრესათ კი მე არ მსურს! შორჩა და გათავდა!

მოსამსახურემ ხონჩა მაგიდაზე დადგა, ხელსახოცი მხარზე გადაიდგო და კარებს აეტყუა, მანდილოსნები კი მაშინვე ღვინის სმას შეუდგენ.

დახე, ისედაც ჭკუიანი აღამინიც მოიბრძობა, რომ ამ შეხვედრისას ურჩევნია—დაიწყოს ისევ ნიღაზიანი და თან ლიქიორს დაისხა,—თქვენ, ვაჟბატონებო ჩემის აზრით მისთვის გიყვართ გაზეთები, რომ სასმელი არა გაქვთ. მართალია ხომ? ხა, ხა! კითხულობდენ! ამა ერთი სათვალეებიანო, ვაჟბატონო, რა სადაზნი წირია მანდ? რა ფაქ-

ტებზე კითხულობთ? ხა, ხა, გადაყარე იქით! ლული, ისა სჯობია დალიო!

ნიღაზიანი წამოდგა და ხელიდან ~~გამოხაზა~~ სათვალეებიან კაცს, რომელიც ჯერ ~~გამოხაზა~~ წითლდა და მეტად გაკვირვებულმა ამხანაგებს გადახედ თაც მას შემოხედეს.

— მოწყალეო ხელმწიფეო, ნუ დაივიწყებთ სადა ხ სამკითხველო დუქნათ გადააქციეთ, გაზეთს ხელში გვგვ ერთი სიტყვით რაებს ჩაღიხართ! არ გაძლევთ ამის უფლ თქვენ გეტყობათ არ იცით ვისთან გაქვთ საქმე, მე ბ დირექტორი ქრესტიანოვი ვახლავარ!

— ფეხებზედაც არ მკილია შენი ქრესტიანოვობა! გაზეთს კი აი ეს პატივი: აიღო ხელში გაზეთი და სუკუწ ნაკუწათ აქცია.

— ბატონებო, ეს რა ამბავია, წამოიღულულულა რეზულმა ქრესტიანოვობა, ეს რაღაც წარმოუდგენელიც არა!

— გაგვირისხდენ! გაიცინა ნიღაზიანმა. ფუ, შენ, ძარღვებიც გითრთის! აი რა მოგახსენოთ პატივცემულ ვაჟბატონებო. ხუმრობის გარეშე, მე თქვენთან ლაპარაკობდაც არ მესიამოვნება და რადგანაც ამ ქალბატონს მარტო დარჩენა და დროს გატარება გთხოვთ, მიბრძანდეთ. წინააღმდეგობა არ გაბედოთ! ამა მიბრძანდა ბატონო ბალებუხინ, მიბრძანდით ჯანდაბას ეშმაკებთან! ღრანქავ მაგ დრუნს? გეუბნები ვალი შეთქი, ხომ გესმის ჩქარა, თორემ მოაწია განკითხვის დღემ, ბარე ორსაც იმ დეზ ამ კისერში!..

— ყვრათფერი ვერ გავიგე რა გინდათ ამით! ეკითხობლის სასაჯულის ხაზინიღარი ბოლებუხინი, გაწითლეს და ბეჭებ აწყოლო: ვიღაც ტუტუცი შამოვარდნილა და გებს ბედავს!..

— ეს ტუტუცი რა სიტყვაა? დაიყვირა ნიღაზი გულმოსული მუქი სუფრას დაარტყა ისეთი ძალით, ხონჩაზე ჭიჭები ერთმანეთს მიეჯახა. ვის უბედავ! შენ ნეტავი თუ ფიქრობ, რადგან ნიღაზი ქვეშ ვარ შენ ნება გაქცველაფერი ილაპარაკო, შე საძაგელო, გეუბნები გარეთ გადი თქო! ბანკის დირექტორო, შენი ნეტავი ვალი! გველ გაეთრიოს ერთი ოხერიც რომ არავინ დარჩეს. გასწით, გასწით ძაღლთა პირებო!

— აი ეხლაც გაჩვენებთ სერიუს, სთქვა ქრესტიანოვობა, რამედრსაც აღელვე ისაგან სათვალეებიც კი გაუოფლიანდა.

— ეი, ბიჭო, დაუძახეთ კლუბის მორიგ მამასახლისს იმ წამსვე შემოვიდა პატარა ტანის ქერა კაცი, ცისფერი ლენტით; ცეკვისაგან დაღალული ძალზე ქმინავდა ეს იყო მამასახლისი.

— გთხოვთ აქეთ გამობრძანდეთ! დაიწყო მან.—აქ სმ არ შეიძლება. მობრძანდით ბუფეტში.

— შენ საიდანღა გამოხტი? დაეკითხა ნიღაზიანი.— გიძახოდი განა?


— ყბედობას თავი დაანებეთ და გთხოვთ გაბრძანდეთ!

— აი რა გითხრა, ჩემო კეთილო: მომიცია ერთი წამის ვადა, შენ როგორც მამასახლისის და უფროს კაცს შენ ლია ეს ძმა ბიჭები გარეთ გაიყვანო. ჩემს ქალებს არ მოსწონს მაგათი აქ ყოფნა; ჩორცხობდენ! როგორც ვიპატი და მე მინდა ანი ბუნებრივ მოლომარტოობა.

— და როგორც ვაგს ამ ~~ქალბატონის~~ ოთახში გონ დაიყვირა ქრესტიანოვი.— დაუძახე ეხლაც ვეკოტს ნიღაზი.

ვესტატი სპირდონჩიო!—ვაისმა კლუბში... სად ტრატ სპირდონჩიო?

მანუცი ბო...



— გთხოვთ ვხლავე აქედან გაბრძანდეთ, თვალმგამოკითხვით და კლავსების ცმაცურით მიმართა ბოქაულმა.

— აბა. მე ვახლავარ! ხომ შეგაშინეთ! წარმოსთქვა და რენებით გადინარხარა ნილაბოსანმა.—ღმერთმანი შეგაშინა! დახე რა გულის მოსვლა ცოდნია, უღვაშები კატისას გავს, თვალები როგორ გამოუპრაწავს. ხე, ხე.

— გთხოვ ნუ ყბედობ! დაიყვირა რაც ძალი და ღონე და ვესტრატ სპირდონიჩმა და თანაც ათრთოლდა.—გაეფიქრა, თორემ ვხლავე ვუბრძანებ, რომ ძალით გაგათრიონ.

სამკითხველოში უცნაური აურ-ზაური ატყდა. პოლიციის შემწვარ კიბოსავით გაწითლებული, ფეხების ბრავუნით ბრძოლა, ყვიროდა აგრეთვე ქვესტრატოვი და ბელეზუხინი. ბრძოლა ყველა ინტელიგენტები, მაგრამ ყველას ხმას ფაქვლა დაბალი, მხეილი, დახუთული ხმა ნილაბოსანისა. ამ დროის მომენტით ცეკვა შესწყვიტეს და მთელი საზოგადოება სამკითხველო ოთახს მოაწყდა.

ვესტრატ სპირდონიჩმა ყველა იქ მყოფ პოლიციელებს უყვარა თავი და დაჯდა ოქმის შესადგენათ.

— წერე, წერე,—ეუბნებოდა ნილაბოსანი და თანაც ხელის ჩხრეკით წერას უშლიდა,—ეხლა რაღა მეშველებს, ვინ საწყალს? ვაი, ჩემო უბედურო თავო! რისთვის მღუპავთ ვინ საცოდავს, ობოლს, უპატრონოს? ხა, ხა. აბა! გაათავებთ აქმის წერა? მოაწერა ყველამ ხელი? აბა ეხლა კი მიყურეთ! რთი... ორი... სამი!!!

წამოდგა, გაიმართა და ნილაბი ჩამოიხსნა, სიამოვნებით დახედ-მოიხედა აბა როგორი ეფექტი მოგახდინებდაყურებლებზე და სიცილით საფარძელში ჩაეცა. შთაბეჭდილება კი სართლაც დიდი მოახდინა, ყველანი გაფითრდნენ, გაშტერდნენ, ერთმანეთ გადახედეს და ზოგმა მათგანმა თავიც კი მოიქექა.

ვესტრატ სპირდონიჩი ისე წკმუოდა თითქო რაიმე დიდი დანაშაულობა ჩადინოს.

ეს გიჟი შეიქნა ადგილობრივი მილიონერი ფაბრიკანტი, შთამომავლობით პატივსაცემი მოქალაქე პრატიგოროვი, რომელიც ცნობილი იყო როგორც მოჩხუბარი, ქველმომქმედი და როგორც, ხშირათ იხსენებდნენ იქაურ უწყებებში, განათლების მოყვარული.

ერთი წამის სიჩუმის შემდეგ მან იკითხა.

— აღარ წამოხვალთ?

ინტელიგენტები მუშათ ცერებზე გამოვიდნენ სამკითხველოდან. პრატიგოროვმა კი კარები ჩაიკეტა.

— შენ ხომ კი იცოდი რომ პრატიგოროვი იყო! უყვიროდა პოლიციელი მოსამსახურეს, რომელსაც სამკითხველოში ღვინო შექონდა.—რათ არ თქვი?

— მიბრძანეს ნუ იტყვიო.

— მიბრძანეს ნუ იტყვიო! დამაცა მე შენ, ერთი თვე თუ ჩაგაყუდე, მაშინ შეიტყობ თუ რა არის „მიბრძანეს ნუ იტყვიო“. გაეთრიე აქედან! თქვენც ერთი არეულობა ატეხეთ, მიუბრუნდა პოლიციელი ინტელაგენტებს,—არ შეგეძლოთ სამკითხველოდან ათი წამით გამოსულიყავით? ეხლა თქვენი წამხდარი საქმე თქვენვე გამოაკეთეთ. ეგნ... სწორეთ არ მიყვარს ამისანაები.

ინტელიგენტები, თავჩალუნული დიდათ დაღონებული შევიდნენ საცეკვაო დარბაზში,—ცუდ ბოლოს მოელოდნენ. მათი ცოლები და ქალიშვილებიც, როცა გაიგეს, რომ პრატიგოროვი შერუტკნოფილია და გამწყრალი, დადინჯდნენ, თონდნენ და აქეთ იქით გაიფანტნენ. ცეკვა შეწყდა.

დაშუადამევის ორსაათზე სამკითხველოდან დარბაზში გასული, ბანდალ-ბანდალით გამოვიდა პრატიგოროვი. ის მიუჯდა თვლებმა დაიწყო და მალე კიდევაც გუინი ამალაშვა.

— ნულარ უკრავთ! უბრძანეს მამსახლისებმა მერუსიკების. სუ! იაგორ ნილიჩს სძინავს.

— ეგებ გნებავთ სახლში გაგაცილოთ, ყურჩუქნ შეჩუქნენ ჩულებს ბელეზუხინი მილიონერს.

ბიძია არჩიფო და ლანკა

პრატიგოროვმა ისე დამანქა ტუჩები თითქოს ლოყიდან ბუზის მოგერება უნდოდა.

— ეგებ გნებავთ სახლში გაგაცილოთ, განუმეორა ბელეზუხინმა, ან ეგებ ეტლი გნებავთ, დავაძახებებ.

— აა. ვის? რაო? შენ რა გინდა?

— სახლში წაგყვებით, ძილის დროა...

— სახლი. ოო კი მსურს, წამყევო.

ბელეზუხინი სიამოვნებისაგან სულ ბრწყინავდა. ააყენა პრატიგოროვი. მას სხვა ინტელიგენტებიც მოეხმარა და ყველამ ღიმილით მიაცილეს დიდი პატივისცემით მოქალაქე ეტლამდის.

— ასე გასულელება მთელი კომპანიის, მხოლოდ ნიქს, არტისტს შეუძლია,—მხარულათ ეუბნება ქვესტრატოვი და თანაც ფრთხილათ ეხმარება ეტლში ჩაჯდომას. მე სწორეთ გითხრა, განცვიფრებული ვარ იაგორ ნილიჩო. მას მერმე სულ მეცინება. ხა. ხა. ხა. რა ამბავში ვიყავით, რას ვფხაკურობდით, რას ვყვიროდით! დამერწმუნეთ ჩემს დღეში ამოდენი თეატრშიაც არ მიცინია. სწორეთ სასაცილო იყო, სასაცილო! ეს საღამო ჩემს სიცოცხლებშიაც არ დამავიწყდება.

პრატიგოროვი რომ გააცილეს შემდეგ ინტელიგენტები დამშვიდდნენ და კიდევ გამხიარულდნენ.

— წასვლის დროს მე ხელი ჩამომართვა, დიდი სიამოვნებით წარმოსთქვა ქვესტრატოვმა,—ალბათ არ მიწყრება.

— ევ ღმერთმაც ქნას, ამოხვნეშოთ წარმოსთქვა ვესტრატ სპირდონიჩმა,—საძაგელი, გაფუქებული კაცია, მაგრამ მთხეც ქველსა და სხვ. უკაცლესა.

ლოლა.

ბიძია არჩიფო და ლანკა

— ცხელა?—დაკრიქა კბილები მოსულმა, თან ქულზე ხელი მიიღო და ბორანზე ცხენი გაიყვანა.

— ჰო!—მიუგო ერთმა მებორნეთაგანმა, რომელსაც შალვრის ჯიბეებში ღრმათ ჩაეყო ხელები, და, რა მივიდა ურემთან, შიგ ჩაიხედა, შემდეგ მობრუნდა, თან ჰაერი ღრმათ ჩაისუნთქა.

მეორე იატაკზე ჩამოჯდა და კვნესით იწყო ჩექმების ხდა.

ბიძია და ლენკა ბორანზე ავიდნენ, ქიმზე მიეყუდნენ და ყაზახებს მიაჩერდნენ.

— აბა, წავიდეთ!—უბრძანა ურმის პატრონმა.

— არაფერი მოგაქვს თან, რომ გადავკრათ?—ჰკითხა მას ურმის მსინჯავმა.

წაღებს რომ იხდიდა, გაიხადა მან წაღები და რაღაც მიზეზის გამო მოხუჭა ცალი თვალი და წაღის ყელში დაიწყო ცქერა.

— არაფერი. რა იყო? განა ყუბანში ცოტაა წყალი?

— წყალი? მე ხომ წყლის შესახებ არ გეუბნები.

— მაშ, არაყის შესახებ? არ მომაქვს არაყი.

— როგორ მოგსვლია, რომ არ მოგაქვს?—დაფიქრდა ამ სიტყვების მთქმელი და თვალები ბორანის იატაკს დაამტერა.

— აბა—აბა, წავიდეთ!

ყაზახმა ჩექმის ჩაცმას მიჰყო ხელი. მეორემ ხელებზე დაიფურთხა და თოკს მისწვდა; გაღმა გამომსვლელიც მოეხმარა მათ, რათა ბორანი დაეძვრათ.

— შენ, ბიძია, რატომ არ გეშველი?— მიმართა არქიფოს მეზორნემ, რომელიც წალას ჩასციებოდა.

— მე სად შემიძლიან!— შესაბრალისი კილოთი და თავის ქნევით დაიმღერა მან.

— არც არის საჭირო მაგათი შველა. მარტონიც მოავარებენ საქმეს!

და, თითქოს სურს, რომ ბიძია დაარწმუნოს თავის სიტყვების ქეშმარიტებაშიო, იგი მძიმეთ დაეშვა მუხლებზე და ბორნის ერდოზე დაწვა.

მისმა ამხანაგმა შეაგინა და, რადგან პასუხი არ მიიღო, ბორანზე ძალზე დაატყაბუნა ფეხები.

— ხედავ, ლენაჯან, რა ხალხია!— ზორბები, მადღრები... ეს მხარე—სამოთხეა გლენისთვის...— წაიბუტბუტა არქიფომ და დაიხარა ლენკასკენ, რომელიც წყალში ჩაიყურებოდა.

ბორანი ქანაობით და ნძრევით ნელა მიდიოდა წინ; მისს გვერდებზე ხეთქებისაგან წყალი ხმაურობდა.

ლენკა წყალს მისჩერებოდა, გრძნობდა, რომ თავი ტკბილათ უბრუნდებოდა და, ტალღათა სწრაფი სირბილის გამო, დაღლილი თვალის ქუთუთოები, ერთმანეთს ეწებებოდნენ. ბიძიას ყრუ ჩურჩული, თოკების შრიალი და ტალღების შხაპუნი მას თითქოს „ნანათ“ ესმოდა; თვლემისგან მოქანცულს ბორანზე მიწოლა სურდა და იგი რალამაც ისე ლონიერათ შეანძრია, რომ დაეცა.

მან ირგვლივ მიავლ-მოავლო ფართოთ გახელილი თვალელები. მას ყაზახები დასცინოდნენ, თან ცდილობდნენ კიდესკენ მიეყენებინათ ბორანი და ნამწვ კუნძზე მიეხათ.

— რა ქენი, დაგვიჩინა? უძლური ხარ. ჩაჯექ ურემში, სოფლამდის მიგიყვან. შენც ჩაჯექ, ბიძიავ.

ბიძია ახობდა ურემზე. თან კენესოდა და ერთ-გვარი ჯუჯღუნა ხმით მადლობას უცხადებდა ყაზახს. ლენკაც აქ შეხტა. მათ გასწიეს წვრილ, შავ მტვერში გახვეულებმა; ეს მტვერი ბიძიას ხშირათ გვრიდა ხველას.

ყაზახმა სიმღერა გააბა. იგი უცნაური ხმით მღეროდა, ხმებს შუაში სწყვეტდა და სტვენით ამთავრებდა, დრო-გამოშვებით ლექსის სიტყვებს ლილინით იწყობდა და, რა შესწყვეტდა, რალასაც გააბამდა ხოლმე მაღალი, ყალბი ხმით. გეგონებოდათ, ამ ხმებს იგი ძაფის გორგლიდან სკარავსო და, როდესაც ნასკვი შეხედებოდა, სწყვეტსო.

სიმღერა სავსებით ეფარდებოდა დაუსრულებელ მინდორს, რომელიც მისებრვე ერთხმივი იყო და რომელსაც აქა-იქ ზოლებათ სჭრიდნენ ჰაერში მოციმციმე, მოჩვენებული საფთხუნები.

ურმის თვლები შესაბრალისათ კრიალებდნენ, მტვერი ეხვეოდა; ბიძია განუწყვეტლივ ახველებდა. თან თავს ანძრევდა; ლენა-კი ფიქრობდა, რომ აი ეხლავ ნივლენ სოფელში და საჭირო გახდება სარკმელებ ქვეშ ჯუჯღუნა ხმით მღერა სოფლის ბიჭები კიდევ არ მოასვენებენ, ხოლო დედაკაცები თავს მოაბეზრებენ რუსეთისა და ბევრ სხვა და სხვა რაამების ამბის გამოკითხვით... ამ დროს არც ბიძიას ცქერაა სასიამოვნო, რომელიც ხშირათ ახველებს, იკუზება, რის გამოც თვითაც უხერხულათ არის და ტკივილსაც გრძნობს, ლაპარაკობს ისეთი შესაბრალისი ხმით, თან გულ-ამოსკვნით უამბობს ისეთ ამბებს, რომლებიც არას დროს და არსად არ მომხდარან... მაგალითათ, ეუბნება, რომ რუსეთში ხალხი ქუჩებში იელიტება და ისე ყრია, არავინ არის მკვდრები მიწას მაასაროსო, რადგანაც ხალხი შიმშილისაგან გონება დაბნეულიაო... მას და ბიძიას კი ამგვარი არა უნახავთ არა. ეს ყოველივე იმისთვის არის საჭირო, რომ უფრო ბლომათ აძლიონ მოწყალეობა, მაგრამ აქ რას უხამ მოწყალეობით მოგროვილ საქმელს. სახლში—იქ მუდამ შეიძლება ფუ-

თი ორ აბახათ და, ასე გასინჯეთ, ათ შაურათაც გაიყიდო აქ კი... არავინ ყიდულობს. მერე იძულებულნი ხდებიან, რომ ნამტვერეები, ხან ძალზე გემრიელებიც კი უნდა შეიქმნა, მაგრამ ისინი გადაყარონ. ან რისთვის ნებივრობს? სოფლიდან-სოფლიან? თითო სოფელში თითო კვირა მაინც რჩებოდეს; თორემ მოვა, დაუვლის, შეავთოვებს და გარბის შორს, როგორც ქურდი მღვეარი აგან... ერთხელ ლენკამ ჩამოუგდო ამის შესახებ ლაპარაკი და გაჯავრებულმა ბიძიამ ნაღვლიანათ მიუგო:— გაჩუმდი, შენ, იცოდე, სულელი ხარ! მე როგორ ვზრუნავ შენზე, შენ ვერ მიხვდები. და მე რაც მინდა, შენ არ შეგიძლიან იცოდე. მე კი, იქნება, შენს ბედნიერებას ვეძებ, მინდა გლენური ცხოვრებიდან გამოგისნა... ვქვ! და ამიტომ, იცოდე, ჩუმათ უნდა იყო.

— სათხოვრათ წახვალთ?— მიუბრუნდა მათ ყაზახი, თან მათ მოკრუნხულ სხეულებს ათვალიერებდა.

— რა თქმა უნდა, პატივცემულო ადამიანო!— ოხვრით მიუგო მას ბიძია არქიფომ.

— ადექ, ბიძიავ, დაგანახვებ ჩემ სადგომს,— ლამის გასათევათ ჩემთან მოდიო.

ბიძიამ სცადა ადგომა, მაგრამ წაიქცა, გვერდი ურმის ნაპირს მიართყა და ყრუთ დაიკვნესა.

— ეჰ, შე ბებერო!— ჩაილაპარაკა ყაზახმა გულ-მტკივნეულათ.— კარგი, ნუ იცქირები, სულ ერთია; ძილის დრო რომ მოვა, შავი-ანდრია იკითხვ და მოვასწავლიან. ეხლა-კი ჩამოდი. მშვიდობით!

ბაბუა და შვილი-შვილი უეცრათ გაჩნდნენ ქანდრებისა და ვერხვების წინ. მათს ტოტებში გამოჩანდნენ სახლის სახურავები, ლობეები, ყოველგან— მარჯვნივ და მარცხნივ— ცისკენ აღზდილიყვენ ამ გვარივე ხეები. მათი მწვანე ფოთლები შა ყოამრალი მტკირით იყვენ დაფარულნი; სწორი და სქელი ტოტები-კი სიცხისაგან დახეთქილიყვენ.

სწორეთ მთხოვრების წინ, ფიცრულ ორ-ღობეს შუა, ვიწრო ბილიკი მისდევდა, საითკენაც მათი მომყვანი ყაზახი მიიმალა და აი, მათ სწორეთ ამ ბილიკით გასწიეს ზღაზღინით; ეტყობოდათ, რომ დაღალულები იყვენ.

— აბა, ჩვენ, ლენაჯან, ერთათ წავიდეთ, თუ ცალკ-ცალკე?— ჰკითხა ბიძიამ და პასუხისთვის არ მოუცდია, თვითვე მიუგო:— სჯობს— ერთათ წავიდეთ— შენ ძალიან ცლტას გაძლევენ. არ იცი, როგორ უნდა ითხოვო...

— მერებევრი რათ გვინდა? სულ ერთია, მაინც ხომ ვერ შევქამთ ხოლმე...— მიუგო დაღვრემილმა ლენკამ, თან ირგვლივ იყურებოდა.

— რათ გვინდა? სულელი ხარ!.. იქნება, გაჩნდეს ვინმე და იყიდოს?! აი რათ გვინდა!.. ფულებს მოგვცემს. ფულები კი— დიდი საქმეა; თუ ფული გექნება, ჩემი სიკვდილის შემდეგ, ნუ გეშინია, არ დაიღუპები.

ბიძიამ აღერსიანი ღიმილით გადაუსვა ლენკას თავზე ხელი.

— შენ იცი, ერთ წელიწადს მგზავრობით რამდენი შევაგროვე? ჰა?

— რამდენი?— გულ-გრილათ ჰკითხა ლენკამ.

— თერთმეტი მანეთი და ათი შაური!.. ხედავ?! მაგრამ ლენკაზე შთაბეჭდილება არ იქონია ამ ფულის ჯამმა და ბიძიას კმაყოფილმა გამომეტყველებამ.

— ეჰ, შე, ლლაპო, ლლაპო!— ამოიოხრა ბიძიამ— მაშ ცალკ-ცალკე მივდივართ?

— ცალკ-ცალკე... — მაშ ეკლესიასთან მიადი. იქ ვიქნები.

— კარგი. ბიძიამ მარცხნივ გადახვია, ლენკამ კი განაგრძო გე-

ხუთი დღე სრულდება, რაც პენსიონანის ქვა ნახშირის მადნებში მუშაობა აღკვეთეს. დიდი ზარალი მისცა ხალხს ამ ამბავმა. ნიუ-იორკიდან იწერებიან, 17 სექტემბრის თარიღით: მთელს ქალაქში ორი ათასი ტონა ქვა-ნახშირი ძლივსა იქნებოა. კვლავ კი ამ დროს 140 ათასი ტონაც ყოფილაო. ყველანი სჩვიან, ნახშირი გვაკლიაო; ანტრაციტის ფასმა საშინლად აიწია; ერთი ტონა 21 დოლარი ღირს. 16 სექტემბერს დეტრუაში დიდი კრება მოხდა და დაადგინეს, ხუთშაბათს ეროვნული კონვენტი მოეწვიოს. ამ კრებაზე და მოვილაპარაკოთ, თუ საქმეს რა უშველოა. კონვენტში მუშაობა რანაირათ დავაწყებინოთ ხალხსაო. ტონის ქალაქის გამგეობაც აპირებს ანაირ კონვენტის მოწვევას. რაკი საქმე ასე გაქირდა, პრეზიდენტმა რუზველტმა 17 სექტემბერს რამდენიმე მინისტრი სათათბიროთ მიიწვია. გაზელები იუწყებიან, მინისტრებს მოულაპარაკნიათ და დაუდგენიათ: ფედერალური მთავრობა ვერას გააწყობსო, რადგანაც არაფერი საბუთი არა აქვს, ამ საქმეში გაერიოსო. „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ი მინც სწერს: პრეზიდენტი თითონ მოელაპარაკება მადნის პატრონებს და ეცდება უშველოს რამე საქმესო. ქვა-ნახშირის ტრესტი მეტის-მეტათ გაკერპდა და არაფრის დათმობას არ აპირებს. ამ სიკვრებზე შეიძლება, მომავალ არჩევნების დროს შტატებში მეტად დიდი ზარალი მისცეს რესპუბლიკელთ დასს. პრეზიდენტიც ამიტომ სცდილობს, რომ მებრძოლნი როგორცე მოარიგოს. „ცნ. ფურ.“ № 1937).

პარიზი. ქვა-ნახშირის მუშათა კომიტეტმა თავი შეიყარა მუშათა ბირჟაზე და დაადგინა, საყოველთაო გაფიცვა გაიმართლოს და ხვალ დილიდან მუშაობაზე ხელი ავიღოთო. (რუსეთის დეპუტათა სააგენტოსაგან).

ქუ რ ნ ა ლ გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ .

„Петербург. Вѣдом.“ № 251 წერს ბ. გორდონი: საერთაშორისო კრიმინალისტა მეცხრე კრება, რომელიც ეხლა ხან დასრულდა პეტერბურგში, მრავალ მხრივ საინტერესო და საყურადღებო იყო. ერთი იმ კითხვათაგანი, რომელიც უნდა ანტერესებდეს თანამედროვე კაცობრიობის ყველა განათლებულ წევრს არის კითხვა ქალების ვაჭრობის შესახებ. ეს კითხვა ეკუთვნის იმ სოციალურ ბოროტებას და უკუღმართობას, რომელსაც ღრმად გაუღვამს ფესვი თანამედროვე საზოგადოებრივი პირობების წყალობით და ამის გამო იმისი ძირიანათ ამოფხვრა შეიძლება განსაკუთრებული რადიკალური ზომებით...

აქა იქ ბევრგან გაისმოდა საზოგადოებაში სათვითაო ხმა ამ ყოველთა საზიზღარ ვაჭრობის წინააღმდეგ. მაგრამ საზოგადოება მალე ისევ წყნარდებოდა, ბრძოლა სუსტდებოდა და ბოლოს სულ დავიწყებას ეძლეოდა. ასე რომ ამ ჟამათ „ქალებით ვაჭრობა“ ისევე თავისუფლათ სწარმოებს, როგორც ორმოცი და სამოცი წლის წინათ.

ამაზე საშინელება განა აქნება-ლა რამე? მართლაც და, მეოცე საუკუნეში, როდესაც ასეთი თავგამოდებული ბრძოლა ადამიანის „ბუნებრივი უფლებების“ დასაცველათ, მაშინ ვეროპასა და სხვა განათლებულ ქვეყნებში ხდება გაჩაღებული აგრეთ წოდებული „სოცხალი საქონლით“ ვაჭრობა...

ნუ თუ კიდევ დიდ ხანს გაგრძელდება ასეთი სამარცხიერო ვაჭრობა კაცობრიობის შესარცხვენათ და დაამიკრებლათ? ნუ თუ თანამედროვე საზოგადოება იმდენათ სუსტია, რომ ბოლოს ვერ მოუღებს?

პეტერბურგში ამ საკითხის შესახებ მოხსენება წარიკითხა პარიზის საკასაციო სასამართლოს ბრალმდებელმა, ფეოლოლიემ, რომელიც მოკლეთ დაახსიათა ამ ვაჭრობის დიქტონოლოგის ისტორია და მისი აწინდელი მდგომარეობა. ისტორიაა, რომ, კრების წევრებმა, უდროობის გამო, მოასწრეს მხოლოდ საკანონმდებლო სადმინისტრაციო ზომების შესახებ ბასი და სრულებით ვერ შეეხენ იმ კითხვას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თვით საზოგადოებას.

ამიტომ კაცობრიობის მთელი განათლებული ნაწილი მოუთმენლათ უნდა მოელოდებოდეს იმას, თუ რა შედეგი ექნება შემდეგ კრიმინალისტა საზოგადო კრებას, რომელიც უნდა მოხდეს მდინარე მაინზე მდებარე ქ. ფრანკფურტში, სადაც ხელ ახლა იქნება განხილული ეს კითხვა.

ეს საზიზღარი „სოცხალი საქონლით“ ვაჭრობა შედეგია იმ ძირითადი უკუღმართობისა, რომელიც საფუძველათ უძვეეს ყველა თანამედროვე სოციალურ ბოროტებას. არავითარ პოლიტიკას, არავითარ მალამოს არ შეუძლიან წყლულის სამუდამო განკურნება. ვისაც უნდა ამოფხვრას ეს საშინელი ბოროტება, იმან უნდა მოაშოროს საზოგადოებას ის უკუღმართობა, რომელიც ქალებს ხდის უილაჯოთ და ართმევს მათ მოქალაქეობრივ უფლებას.

* *

სასოფლო სამეურნეო საზოგადოებანი სოფლათ. (Курьеръ 254).

ზოგიერთა სოფლის გლეხები. მოსკოვის გუბერნიისა რვხკას, ვერესკის და ზენიგოროდის მაზრებისა, აარსებენ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას. ხმა დადის ვითომც მოსკოვის გუბერნიის სხვა გლეხებიც ფიქრობენ მსგავსი საზოგადოება დაიარსონო.

მას შემდეგ რაც, 1897 წელს ივნისის 30 გამოიცა ნორმალური წესდება, რუსეთში ვრცელდება გლეხთა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებანი. ოსტეზიის გუბერნიებში, საცა ასეთი საზოგადოებანი წინადაც არსებობდენ 1901 წლისათვის იყო 60 მეტი რუსეთის გუბერნიებში კი 48-მდე.

წესდების პირველი მუხლის თანახმათ საზოგადოებას მიზნათ აქვს: „დაეხმაროს თავის სამოქმედო რაიონში თავის წევრების შეერთებული ძალდონით, განვითარებას და გაუმჯობესებას სასოფლო მეურნეობისას, და სასოფლო მრეწველობისას. თავის მიზნის მისაღწევათ ამხანაგობამ უნდა დაეხმაროს სოფლის მეურნეებს უსაქიროეს სამეურნეო ნივთთა შექენაში. ამასთანავე უნდა იზრუნოს ხელ საყრელ ფასში გაასაღებინოს მრეწველთ თავიანთი ნაწარმოები, როგორც დამუშავებული ისე დაუმუშავებელი“.

წესდების მეორე მუხლის თანახმათ საზოგადოებამ უნდა შეისწავლოს ვითარება სხვა და სხვა სამეურნეო დარგის, გამოარკვიოს საქიროება და მოთხოვნილება ამ საგნის შესახებ, ერთად თათბირის და მსჯელობის წყალობით. გაავრცელოს თეორიული და პრაქტიკული სამეურნეო ცნობანი საჯარო კითხვების გამართკით, თავიანთი ნაშრომთა დასტამბვით სასოფლო სამეურნეო სკოლების გახსნით, სამკითხველოს და მუზეუმის დაარსებით; უნდა იზრუნონ რომ შეიმუშავონ საუმჯობესო წესი მეურნეობისა, რისთვისაც მოახდენენ სხვა და სხვა გამოცდას, აარსებენ საცდელ მიწდოებს, ფერმებს, მართვენ გამოფენებს „აუქციონებს“ და სხვ.

განახორციელებენ თუ არა საზოგადოებანი თავიანთ კეთილ განძრახვას, ჩამოთვლილს წესდებაში?

შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ ამხანაგობათ შესძლეს მიწათ მოქმედების სამინისტროს და ერობათა დახმარებით გავერცელებინათ თავიანთი მოქმედება სხვა და სხვა მიმართულებით თანახმათ აღვილობრივი პირობებისა.

ბელგოროდის საზოგადოებამ (კურსკის გუბერნია) რომელიც შეიცავს 4 «ვოლოსტის» განყოფილებას, დაიწყო თავისი მოქმედება, ბიურომ გახსნა 4 საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც იძლევა სესხს მკვდარ და ცოცხალ ქონების (ინვენტარის) შესაძენად. შემდეგ მოაწყო სამეურნეო იარაღების ვაჭრობა ნაწილ-ნაწილ ფასის გადახდით, და იარაღთა კანაზხოვრება ქირით. გამართა 13 დესიატინა მიწაზე საცდელი მინდორი, რქვე დამართა მინდვრები საკვები ბალახის სასაზღაუროდ. სცადა ტყის მოშენება ქვიშნარზედ. მოაწყო მუშა-საქონლის იარაღსან შესაერთებელი სადგურები, რითაც აუმჯობესებდა საქონლის ჯიშს. შეიმუშავა წესები რქიანი საქონლის გასაუმჯობესებლად.

ვოლოსტის განყოფილებებში წვევრებათ უმეტესათ არიან ადგილობრივი მიწის პატრონი გლეხები, იმათი რიცხვი 367. ორ-მესამედს წვევრებისას არ აქვთ 10 დესიატინაზე მეტი.

„ვოლოსტის“ განყოფილებანი და მასთან საკრედიტო ამხანაგობანი თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით—გადმოგვცემს კურსკის ერობის ანგარიში—არიან წარმომადგენელნი წვირლ სანადგლო წიწათ-მფლობელობისა და საშვალო კერძო საკუთრებისა“.

გლეხები, არამც თუ თანაგრძნობით მიეგებნენ ამ გვარ ამხანაგობას არამედ ისანი შეიქნენ პირდაპირ ზნეობრივ-ქონებრივ მონაწილენი.

„სოფლის მოსახლეთა შორის ჩნდებიან კულტურული ელემენტები, მიღრეკილნი სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებისადმი კრიუკოვის საზოგადოებას (ვლადიმირის გუბერნია). ამ წელში შეუსრულდა სამი წელი თავის მოქმედებისა. წვევრთა უმეტესობით გლეხობისაა.

წვერა რიცხვი ემატება, (სამი წლის განმავლობაში ერთი-ორათ მეტი წვერია) საბჭომ ურჩია კრებას დაეკლო საწვევრო გადასახადს და დაეყვანა ორ მანეთზე იმ იმედით, რომ შემდეგ კიდევ დაუკლებდა და გახდიდა მანეთს. საზოგადოებამ შესძლო გამოეწვია დიდძალი მოთხოვნილება გუთნებისა, საკვები ბალახის თესლეულობის და ხელოვნური გაპოზიერებისა. მომავლისათვის გადაწყვეტილია შემოიღონ თესლეულობის მეურნეობა, განაგრძონ ცდა ხელოვნური გაპოზიერებასა გამართოს კონკურსი გუთნებისა და გუთნის დედებისა, გამართოს გამოფენა რქიანი საქონლის და ცხენებისა გაავრცელოს ფურცლები ჩასაწერთ სხვა და სხვა სამეურნეო კითხვებისა, აგრეთვე ახალი კანონისა შესახებ მეურნეობისა და საგლეხო კრედიტისა. (Вѣст. Влад. губ. зем. 1902 г. № № 7—8).

კრასნოუჟიშის მაზრაში (პერმის გუბერნია) მოქმედობს ორი საზოგადოება. პირველი—მანჩაესკო-კადემნიკოვისამ ააშენა საკუთარი სახლი რომელშიაც იქნება იარაღთა საწყობი თესლეულობის შესანახი, გამართა ორი შესაერთებელი სადგური მსხვილი საქონლის გასაუმჯობესებლათ მოაწყო აგრეთვე ორი განყოფილება ცხვრისა და ღორის გასაუმჯობესებელი ჯიშის სამრავლო, ააშენა თესლის საშრობი, გარდასწყვიტა შეიძინოს ქახრაკი (პრესი) თივისათვის; აღძრა შუამდგომლობა სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკის გახსნისა. საზოგადოებას მუდამ ემატება ახალ-ახალი წვერი გლეხებიდან, «საზოგადოებისადმი პატივისცემა არა მარტო რუსებს აქვს, არამედ სხვებსაც, რასაც გვიმტკიცებს ის, რომ საზოგადოებას წვერად ყვეს რამდენიმე ბაშკირი და თათრები».

ტორგოვისკ-სუკსუნსკის საზოგადოებასაც აქვს თავისი საკუთარი შენობა იარაღებისა, მაშინებისა და თესლეულობის საწყობათ. ამ საზოგადოებამ მიაქცია ყურადღება საშინაო წარმოების გაუმჯობესებას მცხოვრებთა შორის და დაადგინა მწყოს სამავალითო სახელოსნო საცა უნდა გააკეთონ სა-

ნიავებელი, გუთნები, მწკრივით სათესი მაშინები, თარღები და სხვ. გარდა ამისა მეწველი საქონლის ჯიშის განსაჯობებლად დააარსა ორი შესაერთებელი სადგური. დაადგინა აგრეთვე გამართოს საცდელი მინდორი. შუამდგომლობს რათა დაცულ იქმნას ტყეები გაჩეხისაგან და სხ. საზოგადოებამ დააწყო საზოგადოების დღითი დღე წარმატების გზას ადგება და ადგილობრივ მცხოვრებთა პატივისცემას იმსახურებს“ (Сборникъ Пермскаго Земства № 5, 1901 г.).

8 სექტემბერს 1900 გაიხსნა კოტუსკის საზოგადოებ (სარატოვის გუბერნიაში) წვერები უმთავრესათ გლეხებზე საწვევრო გადასახადი ათი შაურია. საბჭოში არიან: აგრონომი, ჩინოვნიკი, ორი მღვდელი, შეიდი გლეხი და „ვოლოსტის“ მწერალი.

გარდაწყვეტილია გაიმართოს მაშინების და თესლის საწყობი. მოეწყოს ბალახების თესვა—აღიძრას შუამდგომლობა ფოსტის განყოფილების გახსნის, გაიმართოს ბიბლიოთეკა, გამოიწვიოს სამეურნეო წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. ყველავს განჩინება თითქმის სისრულეშია მოყვანილი. გარდა ამისა რიგზე (სისტემატიურათ). იმართებოდა კითხვები პირველად კითხულობდენ მღვდლები, შემდეგ კი განაძრახეს მოეწვიათ სპეციალისტი აგრონომი. ერთი გლეხის ნათქვამს თუ ვერწმუნებით კითხვას იმდენი მსმენელი ყოლია რომ კედელი ვერ იტევდა. (Сар. Зем. Недѣля. 1901 г. кн. 1—16).

ბ. იურინის შეკრებილი ცნობებიდან სჩანს რომ 34 საზოგადოებაში გარდა აღნიშნული სამეურნეო საგნებისა საზოგადოებანი მეცადინეობდენ გაუმჯობესებინათ ლერწამი, მებაღეობა. კალათების წვნა. ცდილობდენ მოეწყოთ საჩქოლე, გაეწმინდათ მარცვლები, დაეთესათ საკვები ბალახი, ქარხალი, გაესაღებინათ სულადი, გაემართათ საშუალო სამეურნეო სკოლა და ასე წარმოიდგინეთ იმის ცდაში იყვნენ რომ გლეხობა მეტი ყოფილიყო ერობაში ხმოსნათ. (იხ. Сар. Зем. Недѣля 1902 г. № 1).

ამ რაგათ საზოგადოებათა მოღვაწეობა მრავალ მნიშვნელოვანი და ნაყოფიერია. ეს კარგათ იციან ერობის წარმომადგენელმა, რომლებიც ფხიზლათ ადევნებენ თვალყურს საზოგადოებათა მსგლელობას და ეხმარებიან მათ, როგორც ქონებრივათ ისე ზნეობრივად. მართალია არის ისეთი საზოგადოებანი, რომლებიც არ არიან სავსებით თავისუფალი გარეშე გავლენისგან (სამარის); მართალია ისიც რომ ზოგიერთა საზოგადოებანი არ არიან სავსებით გლეხობის შესაფერი თავისი წვერებით და ტენდეციით, (დერგაჩის—სამარის გუბ.) მაგრამ უმთავრესათ წვერთა რიცხვი სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა არიან გლეხები და მათი რიცხვი თან და თან მატულობს.

ამბობენ რომ ამგვარი ამხანაგობანი ვერ იხვირებენ—რადგან, „გლეხობა ჯერ ისე არ მომწიფებულა რომ სავსებით შეიგნოს ამ გვარ ამხანაგობათა არსებობა თავიანთ სასოფლო სამეურნეო საქიროებათა დასაკმაყოფილებლათ“.

ამ გვარი შეხედულობა გლეხთა უმრავლესობის შესახებ მართალია. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ არც ის რომ არიან სულ სხვა გვარი წარმომადგენელნი გლეხობისა ბ. ივანოვი წვერი პსკოვის გუბერნიის ერობისა სამართლით აღნიშნავს რომ „რამდენადაც უვარგისი უნდა იყოს აწმყო სოფლის მეურნეობა, თითველ „ვოლოსტში“ და თითქმის მრველშიაც მოიპოვებიან ისეთი მეურნენი, რომელთაც შეგნებულათ მიყავთ თავიანთი საქმე და თავიანთი მცირე ცოდნით, დიდის სიფრთხილით, ცდილობენ შემოიღონ ახალი და სასარგებლო ცოდნა სასოფლო მეურნეობისა. („Вѣсти Псков. Зем. Уп.“) ეს თითო ოროდ პირი სასოფლოებაში გარეული სოფ-

ლის ინტელიგენცია დახმარებით, იქნებთან ძალა და შვიდ. ლებენ ბევრი რამის გაკეთებას თუ მათი სამოქმედო ასპარეზი ფართო იქნა.

მ. ფ.

ერთ სახალხო წიგნაკის გამოცემის გამო.

(„თანამედროვე ქალაქი“.—პროფ. ემილ ვანდერველდესი ფრანგულიდან ნათარგმნი კანდელისა).

ჩვენში რომ სახალხო-სამეცნიერო წიგნაკების გამოცემა, მიუხედავად მათი საამდროვო მიუცილობელ საჭიროებისა, კუს ნაბიჯით მიდის ამას ყველა აშკარათ ხედავს და ქართველი „ახალი მკითხველები“ ყველანი კარგათ გრძნობენ. ამ გვაწიგნაკების რიცხვი ორთავე ხელების ათ თითზე ჩამოითვლება, შემდეგ ამისა იწყება სქელ-სქელი დაბიოსათვის მიუწლომელი წიგნები, ან კიდე ზღაპარ-არაკები, უხეირო ლექსები დი სიზმრების ახსნები. დღეს ფეხადგმული ქართველი მკითხველი კი გაფაციცებით ეძებს და გაძებნინებს თქვენ აღვილ-გასაგებ სამეცნიერო წიგნაკებს თვით-განვითარებისათვის. თქვენც იმათ ძებნაში ბევრი დრო არ წაგივათ, ათიოდეს ჩამოთვლის შემდეგ საღტათ დარჩენილი ეუბნებით დამშეულ მკითხველს: ქართულ ენაზე ამის მეტი არაფერია და რუსული თუ გნებავს რამდენიც გიდა ამოგიჩვენო. ამ გვართ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი „ინტელიგენტი“ აიღებს ხელში რუსულ წიგნების სიას, დაუდებს ზედ ხელს სასარგებლო წიგნაკების მაძიებელს და ეუბნება: აი ეს წაიკითხე და აი ისო, თუ კი თორემ მარტო ქართული წიგნების კითხვით ბევრს ვერას შეიძენო. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამგვარ მკითხველს ხშირათ რუსული არ ესმის და დედაენაზე მისთვის თხოულობს სახდოს მოწოდებას.

ასეთია დღეს მდგომარეობა ქართველ „ახალ-მკითხველისა“ და მისი ხელმძღვანელ „ინტელიგენტისა“ და რას უყვარს, გამომცემლობის ამ დარგში დღესაც კი: ბევრნი ფიქრობენ იმათ გონების დაკმაყოფილებაზე და ბევრნი აწვდიან მათ შესაფერ სახდოს? არა და ურიცხველ არა. ბაზრის მიმყოლი უმრავლესობა ხალხს დღესაც ქალ-ვაჟიან, დავრიშიან-ყარამანიანებს, არსენას ლექსებს და სიზმრების აღსნებს აწვდის. ეს წიგნაკები ძლიერ საღდებიან და ხშირათაც იცემებიან. ასე იქცევიან უბრალო, ორიოდ გროშის შემყურე კერძო გამომცემლები, ხოლო ინტელიგენტური მათი ნაწილი და მათ შორის ჩვენი „ქართვ. წიგ. გამომც.“ ამხანაგობანიც“ დღემდე საინტელიგენტო, სქელ და ძვირფასიან წიგნების გამომცემლობას ეტანება, მას ჯერ ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწერებიც ვერ გაუმდაბიურებიათ, ვერ მოუბოვებიათ ხალხში მათთვის ბაზარი, ვერ გაუიფაფ-ფასიანებიათ. სამეცნიერო-სახალხო გამოცემებისათვის ხომ მათ თითქმის სრულიად არ უზრუნიათ. საამგვარო გამოცემებს დღეს ათასში ერთი შეგნებული და სახალხო საქმის მოყვარულ თუ კისრულობს და ისიც თავის ჯიბის სახიფათოთ წინდაწინვე დარწმუნებულია, რომ ამგვარი გამოცემა მას ზარალის მეტს არას მოუტანს.

ამგვარი არა სახარბიელო მდგომარეობაა მეორეს მხრით ჩვენში სახალხო-სამეცნიერო წიგნების გამომცემლობისა. ამას გრძნობენ არა თუ შინაობაში, შორს გადახვეწილი ევლახელი ქართველებიც. დღეს ამათ ერთგვარი კეთილი აზრი მოსვლიათ ამ ნაკლის შესავსებლათ და შემდეგნაირათ გამოუხატავთ იგი ამა წლის „კვალის“ № 1-ში დასტამბულ რედაქციისადმი მიმართულ წერილში. აი რას ამბობენ ისინი აქ: „როდესაც საჯარო-საერთოთ დიწყებენ სჯა-ბაასს რამე ნაკლულეგანებაზე, მაშინ უთუოთ ეს ნაკლულეგანება საზოგადოებამ სინამდვილეთ უნდა მიიღოს და შეეცადოს მის მო-

სობას, რათა საზოგადოებამ დაამტკიცოს, რომ მას კიდე უცემს სიცოცხლის ძარღვი. ჩვენმა ინტელიგენციამ დიდი ხანია (? ისი) შეიგნო სახალხო წიგნების უქარხნო დაქართულ ლიტერატურაში და ამასთანავე ისიც აღიქვა, რომ იმავე ინტელიგენციამ, რომ ხალხს დიდათ ესაჭიროება ზემო მოყვანილ დარგის წიგნები (მერე რაღაა ამ წიგნების ნაყოფი?! ისი).

მარტო სჯა-ბაასი-გოდება რომელიმე ნაკლულეგანებაზე არაფერს უშველის. ამისათვის საჭიროა, როგორც საქმით, ასევე ნებითა დასმარებით შევებდმოვლოთ ამ ნაკლს და მივცეთ შვება ხალხის გონებით წინსვლა-განვითარებას რასაც უსაჭიროეს საგნათ უნდა ვთვლიდეთ ჩვენი კეთილდღეობისათვის. ჩვენ ხალხში მაგრათ აქვს გადგმული ფესვი ფუქსავატ-უსარგებლო ხარჯების ჩვეულებას, მაგ. დამარხვისა, ნათლობისა, ქორწინებისა, დღეობისა და მილოც-მოლოცვის დროს. რადგანაც ჩვენ გვსურს ჯერ-ჯერობით ეს უკანასკნელა უსარგებლო ხარჯი, ე. ა. მალაღ-მალაღცვა თავადან მოვაშოროთ, რაზედაც იმედი გვაქვს ჩვენი ნაცნობ-ნათესაობა არ დავემდღურება,—ამისათვის ვგზავნით 27 მანეთს სახალხო წიგნაკების გამოსაცემათ, იმ იმედით, რომ მომბაძველნი გამოგიჩნდებიან და საერთო ძალით გამოიცემა კარგი სასარგებლო ხალხის გონების გასავითარებელი წიგნი, რომლის ამორჩევას და დაბეჭდვას ვთხოვთ „კვალის“ რედაქციას იკისროს თითონ“... წერილს ბოლოში ათიოდე შემდეგი სახელი და გვარი აწერი ქართველებისა: ივანე თვალაძე, გიორგი გრიგოლია, მიხეილ კავსაძე, ლეონტი კუბიანიძე, კალისტრატე ჩიქოვანი, აკაკი ანჯაფარიძე, ვასილ ალასანიძე. იოსებ ჭითავა, რუსიელი ია... და ფა—ლი.

იანვრის 1-დან ვავიდა ოთხი თვე ამ წერილით ხალხის გულშემატკივართადმი მიმართვის შემდეგ ამა წლისათვე აპრილის მიწურულში, დარწმუნდენ თუ არა ევლახელი ქართველები, რომ მათი მოწოდება დარჩა „ხმად მლაღაღებლისა უდაბნოსა შინა“ და მათ ამ მეტათ საჭირო საქმეში მიმბაძველნი არ აღმოუჩნდენ, განიმეორეს თავიანთი მოწოდება. თუ პირველ წერილში იმათ გუჩლვილათ მიმართეს საზოგადოებას, მეორეში გულდაწყვეტით აღნუსხეს ორიოდ სიტყვითვე მისი (საზოგადოების) ამგვარ საქმეებისადმი ინდიფერენტიზმი (გულგრილობა) და ასე გამოთქვეს მათდამი თვისი გულისწყრომა: „თუ ჩაუკვირდით ჩვენს ვითომ და მოღვაწეთა ახალგაზღობას, რომელთაც მოღვაწეობათ მაინათ მარტო მჭკვრემტყუაგუბას გამაჩენს, რომელიმე სასარგებლო საქმეზე სჯა-ბაასის დროს და თუ ის საქმე განხრცეილეუბის გზაზე დაადგა, მაშინ ის მჭკვრემტყუაგუბანი უნდა იყრუებენ და საქმით არ ახარციელებენ მას, რასაც მათი მჭკვრემტყუაგუბური ენა და კაღამი დადადებდა. ამგვარი სენი „ვითომდა მოღვაწეთა“ სასაცილო რომ არ იყვეს, სამწუხაროა. მართალია, კარგი მქვერ-მეტყველი საზოგადოებისათვის ისევე საჭიროა, როგორც კარგი მოსაქმე საზოგადო საქმეებისა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენი მქვერ-მეტყველნი ვერ იჩენენ იმდენ მქვერ-მეტყველურ ძალას, რომელმაც შეძლოს ჩვენ გულცივ საზოგადოებაზე რამე გავლენა იქონიოს: ამისათვის საჭიროა დახმარებას ერთათ საქმითაც დასრულდნ ნადახმარაკვეი ზემო მოყვანილ შენიშენის დასამტკიცებლად შესაძლებელია ბევრგვარი მაგალითები მოვიყვანოთ, მარა აქ მივაქცევ მკითხველის ყურადღებას მხოლოთ ერთ შემთხვევას. წლებადელ წ. კ. გ. ს. წევრთა კრებაზე ბევრმა უსაყვადურა გამკეობას უმოქმედობა და სხვათა შორის მიუთითა მაზე, რომ გამკეობა არ ცდილობს სახალხო წიგნების დაბეჭდვისათვის, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენი ხალხის წინსვლისათვისაო. ამ საჭიროებაზე ჩვენ ჟურნალ-გაზეთებშიაც ბევრი წერილია დაბეჭდილი, მარა საქმის განხორ-

ციელზე კი ვერაფრით ვერ მოხერხდა. თუმცა ბევრი წიგნები იბეჭდებოდა კერძო პირებ—საზოგადოებებისაგან, მარა ჩვენს სავაჭაროთ, ამ გამომცემებში ვერაფერსაც ვერ ვხედავთ, კანკის განსვითარებულს საუნჯეს ვერას ზოგის შიშისგან, მართა მათაც რომ დაეწყო ეს სასიკეთო საქმე, რომელიც სახალხო წიგნების ბეჭდვის მომხრენი არიან სიტყვით, თუ კალმით, უთუოთ განხორციელდებოდა, მარა უბედურებაც ის არის, რომ მათ არ სურთ საქმიანად ისინი იყვნენ, რაზეც ერთ და კალმით არაა.

სახალწლოთ საღვურ ველახიდან გაიგზავნა რამდენიმე მანათი და თანაც შექმნილი ექვსადრედიან თანამაზრეთ, რათა მათაც თავიანთი წვლილი გამოეღოთ ამ სასარგებლო საქმისათვის, მარა, ჩვენს საუბედროთ, ეს მოლოდინი გაუცდრუდათ მათ და ერთმანც არ გაიმეტა რამდენიმე მანეთი. რომ ეს სასარგებლო საქმე განხორციელდებოდა. ნუ თუ ურადდების დირსი არ იყო იმ პირთაგან მანც, რომელნიც დადებდნენ სახალხო წიგნების საჭიროებას? ამისთანა შემთხვევების შემდეგ რა და ძალა-გაუქნა ექნებათ საზოგადოებაზე მჭვერ-მეტყველებას და კალამს?! რათა სასიკეთო საქმე საქმე განხორციელდეს ამისათვის საადგომო მიღონ-მიღონების მაგიერ გვზავნით ოცდასამ მანეთს, რომელიც მიემატოს სახალწლოთ შეგროვილ ფულს და „კვ“. რედაქციას ვთხოვთ გამოეცეს ამ თანხით რამდენი წიგნის დაბეჭდვაც შეიძლებოდა და თუ თანამაზრენი ურს გაიბურტყვენ და თავიანთ წვლილსაც მიუმატებენ უკვე შეგროვილ ფულს, რასაკვირველია, „კვ“. რედაქცია დიდი სიამოვნებით მიიღებს, რომელსაც შეძლება მიეცემა საუკეთესო ვრცელი წიგნი გამოეცეს.

ამ წერილზე, გარდა პირველზე ხელმოწერილებისა, ხელი უწერია ახლებს: პ. მემარიანი, მ. გრიგორიანი, პ. შვანგო, ნ. შათირიანი, დ. ანჯაფარიძე, ვ. გურაძე, ს. უზნაძე, გ. მესხი, გ. ოზოლაძე, კ. კანდელიანი, თ. შენგელიანი.

აი ის ორი საგულისხმო წერილი ჩვენი შორს მყოფ თანამომხმე თანამემამულეებისა, რომელთაც არ დავიწყებით სამშობლო ლიტერატურის სიყვარული, თვალ-ყურს ადევნებენ მის ბედ-იღბალს და მისი გაძლიერების სურვილით გატაცებულნი ძველ გამოუსადეგარ ჩვეულებას ივიწყებენ და ახალის შამოღებას თავისი სიმწრით მონაგარი ხელს უწყობენ მას ნივთიერათ. ამავე დროს რა ქნეს თვით შინაობაში, შედარებით განცხრომაში მყოფმა ქართველმა? არაფერი თავიანთ ჩვეულ გულგრილობის მეტი. ერთი გროშიც არვინ გაიღო ამ საგულისხმო და სამდროვო საქმისათვის. ამ ხნის განმავლობაში წამხალისებელი მიმბაძველნიც არავინ გამოუჩნდათ მათ, რომ შემდგარიყო ცოტადნათ ხელმისაწოდში თანხა ველახელ ქართველების მიერ გამოწყებულ საქმისათვის. მხოლოდ დღეს სეკტემბრის პირველ რიცხვებში, მათ ხმა იმერთიდან მისცა „კვ.“ კორესპონდენტმა ბ. ბენია ჩიკვიშვილმა, რომელიც თანხმდება ბერეიანების მემკვიდრეებს სამედიატორო სამართალში გაყვეს იმ პირობით, მომ თუ იგი გამტყუნდება „როგორც ღარიბი კაცი“ კისრულობს 25 მან. ჯარიმა გადინადოს, რომელიც მიემატება ველახელ ქართველებისაგან „კვ.“ რედაქციაში გაგზავნილ იაფ-ფასიან წიგნაკების გამოსაცემ თანხას. ეს იყო და ეს.

„კვალის“ რედაქციამ დიდის სიამოვნებით მიიღო მინდობილება ველახელ ქართველებისა და ჯერჯერობით მართა მათი თანხით და ცოტადენის თავისის დამატებით უკვე გამოიკა ზემორე აღნიშნული წიგნაკი, რომლის შემოსავალი შემდეგ გამოცემის თანხით დაიდება. დღეს კი ვინც რედაქციის ამ პირველ ნაბიჯს მოიწონებს, იმედია, არ დაიზარებს ამ თანხის გაძლიერებისათვის ზრუნვას და ველახელ ქართველების სიმპატიურ დაწესებულებას მიმბაძველებს მოუბოვებს.

თავის მხრით რედაქციაც შემდეგისათვის ყოველ დღეს იმ-მარს ამგვარ გამოცემისთვის კარგი და დროს შესაფერი წიგნაკები აირჩიოს და მით ხელი შეუწყოს „ქვეყნის მშენებლების“ გამრავლებას ქართველ საზოგადოებაში. ველახელის ენი თფრანგულიდან ნათარგმნი ვანდერველდის წიგნაკი დასტამბულია ქუთაისში ი. კილაძის და ი. ხელაძის სტამბაში. წიგნაკი სუფთათ და იაფათ (ორ შაურათ, რუსულათ კი 25 კ. ლირს ერთი გამოცემა, მეორე კიდე მეტი) არის გამოცემული. შეცთომებიც შიგ ნაკლებათაა. ტემა წიგნაკისა მეტათ თანადროულია: იგი არკვევს თანამედროვე ცხოვრების ერთ მეტათ საპატიო საკითხს— თანამედროვე ქალაქის უფლიურის, თანდათან განვითარებას. ამ საკითხის გასარკვევათ დღეს მთელი ტომები, იწერება უცხოენებზე. ჩვენ მკითხველს კი აქა- იქ სავახეთო წერილები თუ წაუკითხავს, თორემ სამეცნიერო გამოკვლევების მისთვის მიწოდებისათვის არავის შეუწყობია თავი. დღეს მას ბელგიელ პროფესორის პატარა წიგნაკით საშვალება ეძლევა მოკლე ნათქვამით გაეცნოს ამ საკითხის ვითარებას. მის შინაარსზე აქ ლაპარაკს აღარ გაუშართავთ „კვ.“ მკითხველს, იგი ყველასათვის ხელმისაწოდშია და, უქვევლია, არვინ დაინანებს მის შეძენას და გადაკითხვას გამომცემელი რედაქცია იმითაც კმაყოფილი დარჩება, თუ მან თვისი ამორჩევით ოდნავ მაინც აღლო აულო ქართველ „ახალ მკითხველის“ მოთხოვნილებას და მას მისი გონების შესაფერი საზღო მიაწოდა...

ისი.

ბორჩალოს „კოხი“.

„ახალი მიმოხილვის“ 6168 №-ში უცნაური „საექიმო“ წერილია დაბეჭდილი წერილის სათაურით: „ქლექიან ავთ-მიყოფთა საყურადღებოთ“ ეს წერილი თავისი ახირებულობით უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. მკურნალმა აღმოაჩინა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, თქრობს აღმოაჩინოს „კაცთა ქამია ქლექის“ წამალი.

ამცნო თუ არა „ბორჩალოს კოხმა“ თავისი უკვდავი აღმოჩენა სამკურნალო გამოცემას, წარუდგინა თუ არა მსჯავრის საყოფათ თავისი გამოკვლევა საექიმო მეცნიერებას? შენც არ მომიკვდე ესე ვითარი საჭიროთ არ სცნო ახალმა „კოხმა“. მან, „ბორჩალოს სოფლის მედიცინის ექიმმა“ მიმართა პირდაპირ დასწეულებულ (დაქლექებულ) საზოგადოებას და აუწყა მათ:

„მოვედით ჩემთან ყოველნო სწულნო და შეპყრობილნო ქლექითა და ნე განკურნო თქვენ, რამეთუ მრავალნი დავრდომილნი განკურნე ექიმობითა ჩემითა“

საცოდავი ნამდვილი კოხი ამ კადნიერებაზე თავის დღეში არ მისულა აღბათ იმიტომ ის ცხოვრებდა ბერლინში და არა ბორჩალოს მაზრაში.

არა ექიმი.

მეფე ვახტანგ მე-VI-ს კანონები და ძარბილი ქალი *).

როგორც ვიცით, ცოლის უმიზეზო დატოვება ქმრისაგან აღკრძალული იყო კანონ-დებისაგან. აღბულა აწესებს, რომ „თუ ვინმემ დაუტოვოს ცოლი თვისი“ უღანაშაულოთ, მოვალეა უზღოს გადებულ ცოლს ნახევარი სისხლი და მზითვეი უკლებლათ უკან დაუბრუნოს (30). მეფე ვახტანგი ეხება ამ შემთხვევას, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ ის

*). იხ. „კვალი“ № 39.

წესებს დამნაშავე ქმარზე მთელის სისხლის საურველის (72).
 ამათ ჰუმანისტი მეფე ცდილობს რაც შეიძლება გაუადვილოს
 ცხოვრება ბოროტ ქმრისაგან შეურაცხყოფილ სუსტ არსებას.

ჩვენ ვიცით, რომ სამართალი ნებას აძლევდა ქმარს გაყ-
 როდა მემრუშე ცოლს. ხოლო რაც შეეხება მემრუშე ქალის
 მზითვეს, ქმარი მოვალე იყო თანახმად ვახტანგის დადგინე-
 ბულები და დებრუნებია ის გაყრილ ცოლისათვის სრულიათ
 უკლებლათ. ვინცობაა, თუ ქალს ყავდა შვილი კანონიერ
 ქმრისაგან, მაშინ მისი მზითვეი იყოფოდა თანასწორათ დედა
 და შვილ შორის. თუ შეურაცხყოფელი მამა-კაცი ისურვებ-
 და მასგან შეცდუნებულ კანონიერ ქმრისგან გაყრილ ქალის
 შერთვას ცოლათ, მაშინ მისგან შექმნილი უკანონო შვილი
 ითვლებოდა მის საკუთარ შვილათ; წინამდღევ შემთხვევაში
 მას უნდა დაეურვებია გალანძღულ ქალისათვის მთელი სის-
 ხლი და უკანონო შვილისათვის გაწვია შესაფერი მამობა
 (67,68). ეს დადგინებულება ვახტანგიც მით არის შესანიშ-
 ნავი, რომ ის აძლევს ნებას ქმართან გაყრილ ქალს და მის
 შემცდუნებელს ერთმანეთთან კანონიერად შეუღლებიას.
 როგორც ვიცით, საქართველოში ხშირათ ათხოვებდენ სულ
 ახალგაზდა ქალიშვილებს, 11—12 წლისას. რა საკვირველია,
 ქალს ასეთ ხანაში სიყვარულის არაფერი გაეგებოდა მისი
 გათხოვება თითქმის ყოველთვის უფროსების ბრძანებით ხდე-
 ბოდა. ეს გარემოება ხშირათ იწვევდა სასურველ შედეგებს.
 ჯერ ერთი, რომ ქალი უმეტეს ნაწილათ არც-კი იცნობდა
 თავის საქმრას და პირველ დანახვისა თანავე შესაძლებელი
 იყო დაბადებოდა მას გულში განუსაზღვრელი ზიზღი საქმრო-
 სადმი, მეორეთ,— შეიძლება ისედაც მომხდარიყო, რომ გა-
 თხოვილ თითო ქალს სამი-ოთხი წლის შემდეგ, ე. ი. როდეს-
 საც ის სრულს ასაკში შევიდოდა, გამოეცხადა ნამდვილი
 სიყვარული არა კანონიერ ქმრისადმი, რომელიც შეიძლება
 საშუაოდ მასზე უხნესი იყო, არამეთ თავის ტოლა ახალგაზდა
 ქაბუკისადმი... აი, ნამდვილი ტრავმაც აქ ინასკებოდა!
 ამიტომ ვახტანგის დადგინებულება, რომელიც აძლევს შე-
 ყვარებულთ ნებას შეურთდენ ერთმანეთს კანონიერათ მიუ-
 ხედავათ ყოველგვარ დაბრკოლებებისა, უნდა ჩაითვალოს
 პროგრესიულ მოვლენათ თანამედროვე ჩვენ ცხოვრებაშიც-კი.
 ღირს შესანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ მეფე ვახ-
 ტანგი ავალებს ქალის გამლანძღველ მამა-კაცს უსათუოთ
 გაახწოროს თავის ნამოქმედარი...

მოხდებოდა ხოლმე, რომ ქალიშვილი ქალი სამუდამოთ
 გაუთხოვარი რჩებოდა მამის ოჯახში. ეს გარემოება ხშირათ
 ბადებდა მისთვის აუტანელ პირობებს ოჯახის სხვა წევრთა
 წყალობით. ვახტანგი არ იფიწყებს მათ და აწესებს ქალწუ-
 ლად დარჩენილნი პატივდებაში უნდა იყვენ ოჯახშიო, მეტ-
 საც ვიტყვი,— ვახტანგის სამართლით მუდმივი ქალწულნი
 დეპულობენ მამის ქონებიდან „ჩვეულებრივ მზითვეზე მეტს“
 (257).

ჩვენ ვიცით თუ რა დიდი უფლებებით იყო აღჭურვი-
 ლი მაღალ-ხარისხოვანი სამღვდლოება ქართველთა ერის
 წარსულ ცხოვრებაში. სამღვდლოების წარმომადგენელთ
 უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდათ მეფის და საზოგადოე-
 ბის თვალში, მასთან ისინი იყენენ თვალ-უწვდენელ მამულის
 და უთვალავ გლახთა მებატონენი. ერისგან ფეოდალნი დი-
 დათ ჩამოურჩებოდენ თავის ძლიერებით სასულიერო პირთ.
 ამის მიზეზები მრავლისაგან-მრავალი იყო, ჩვენ აღვნიშნავთ
 ზოგიერთ მათგანს. ეკლესია-მონასტრების გლახები განთავი-
 სუფლებულიყვენ ბევრი ისეთი გადასახადისაგან, რომელიც
 დაწესებული იყო საუფლისწულო და საბატონო გლახებზე.
 ეს გარამოება იწვევდა ხშირათ იმას, რომ გლახები საუკეთე-
 სოთ თვლიდნენ თავისთვის სასულიერო პირთა მფარველო-

ბის ქვეშ კოფნას და ამ მიზნის მისაღწევათ ისინი ხშირობდენ
 ყოველივე ღონეს, რამენაირათ თავი დაეხწიათ ერისგან მე-
 ბატონეთა მონობისაგან. ფეოდალურ ეპოქის ტრადიციულ
 ყისში, როგორც ვიცით, გლახები არ იყვნენ მფარველნი
 რულნი ბატონის მიწა-წყალობე, რის გამო მათ შეეძლოთ თა-
 ვის ნებით გამოეცვალათ ბატონი, აქედან ეკლესია-მონას-
 ტერში თავის შეფარება უფრო ადვილი საქმე იყო მათთვის
 ამგვარად მაღალ სამღვდლოების ქონებრივი და პოლიტიკუ-
 რი ძლიერება თან-და-თან მატულობდა. ამას ხელს უწყობდა
 კიდევ ის ფაქტი, რომ მეფე და ფეოდალნი თავიანთ სულის
 მოსახსენებლათ ძლიერ ხშირად სწირავდენ მონასტრებს მა-
 მულებს გლახებითურთ. ხშირათ ბოროტი და მუდამ ჟამს სი-
 სხლის მღვრელი ბატონი დიდ სიუხვეს იჩენდა ამ მხრივ. ასე
 გასინჯეთ, თვით კანონ-დებაც ქება-დიდებით იხსენიებდა იმათ
 ვინც მდიდარ შეწირულებას მიართმევდა მონასტერს. ათაბა-
 გი აღბუღას იმდენათ მოსწონს ეს ჩვეულება, რომ მისი სა-
 მართლის ძალით ქვრივ ქალს უფლება აქვს თავის მზითვეი,
 მოძრავ ქონებისაგან შედგება ის თუ უძრავ მამულისაგან,
 მთლათ შესწიროს მონასტერს; ასეთი უფლება მას ეძლევა
 მაშინაც-კი, როდესაც მას შვილები ჰყავს, რომელნიც დედის
 უძრავ-მოძრავ ქონების კანონიერ მემკვიდრეებათ ითვლებიან
 (82,176). ღრის განმავლობაში ეს ჩვეულება იმდენათ გავრ-
 ცელდა საქართველოში, რომ მეფეები იძულებულნი გახდენ
 მიექციათ მისთვის ყურადღება. სამღვდლოების ქონებრივ-
 პოლიტიკური ძლიერება ხშირათ მოასწავებს საერო მთავრო-
 ბის სისუსტეს. მართალია, ჩვენმა ისტორიამ არ იცის მეფის
 და სამღვდლოების შორის ისეთი სასტიკი მეტოქეობა, რო-
 მელიც სუფევდა საშუალო საუკუნოების დასავლეთ ევროპა-
 ში, მაგრამ არც ის ითქმის, რომ მათი ინტერესები ყოველ-
 თვის ერთხმებოდნენ ერთმანეთს. ერის ცხოვრების განვითარ-
 რება მოქალაქობრივ გზისაკენ თან-და-თან მეტ მნიშვნელო-
 ბას სძენდა გვირგვინოსან მეფის პიროვნებას. სამღვდლოე-
 ბის განუსაზღვრელი უფლებები ცოტ-ცოტათი უნდა შეკვე-
 ცილიყვენ მეფის სასარგებლოთ; ამ მოსაზრების დასამტკიცებ-
 ლათ ჩვენი კანონდება ფრიად ბევრ საბუთებს იძლევა, ხო-
 ლო ამ ჟამათ შეუძლებელია მათზე ლაპარაკი, რადგანაც ისი-
 ნი არ ეხებიან პირდაპირ ჩვენ საგანს. ამ გვართ მეფე მოწა-
 დინებული იყო ცოტ-ცოტათი შეესუსტებინა სამღვდლოე-
 ბის გამაძლიერებელი მიზეზები, რის გამო იგი ღებულობდა
 სხვა და სხვა ზომებს. მეფე ვახტანგი წინააღმდეგ აღბუღას
 დადგინებულებისა აწესებს, რომ ქვრივ ქალს არ შეუძლია
 შესწიროს ეკლესიას თავის მამული, რომელიც მზითვეათ
 შეხვედრია მას, რადგანაც ეს მამული ეკუთვნის მის შვილს
 თუ შვილი არა ჰყავს, მაშინ მამული, როგორც უპატრო-
 ნოთ დარჩენილი (ВЫМОРОЧНОЕ), ერგება მეფეს; ქვრივ ქალს
 მაშინაც არ ეძლევა მამულის შესწირვის უფლება, როცა ეს
 მამული მისი ნაღდი ფულით არის კეთილ-შეწყენილი (232).

ქართული კანონ-ღება ავალებს ძმებს შესაფერი ქონებ-
 რივ-ხნეობრივი დახმარება გაწვიათ დებისათვის მშობლების
 სიკვდილის შემდეგ. ძმები მოვალენი იყვნენ თავის საკუთარ
 ნათლარით გათხოვებინათ დები იმ შემთხვევაში, როცა
 მათ მშობლებისაგან არავითარი ქონება არ რჩებოდათ. ამას
 ნათლათ მოწმობენ მეფეების ღრის გავრცელებული ჩვეუ-
 ლებანი (30). ვინ წარმოიდგენს თუ რა საცოდავ მდგომარე-
 ობაში ვარდებიან უკანონოთ შობილნი: ისინი მოკლებული
 არიან თითქმის ყოველგვარ იურიდიულ უფლებებს და მას-
 თან რჩებიან სრულიად უსახსროთ. თანამედროვე რუსული სა-
 მოქალაქო კანონდება მხოლოთ სილატაკეს უქადის უდანა-
 შაულო ბაღებს, რომელთაც ბედმა უკაკონოთ შეერთებულ
 დედამისაგან გაჩენა არგუნა; მხოლოთ უკანასკნელ წლებში

მიაკციეს რუსეთში ყურადღება ამ არა ნორმალურ მოვლი-
ნას. ღირს შესანიშნავია ის ფაქტი, რომ გულ-ჩვილი მეფე
ვახტანგი არ ივიწყებს უკანონო შობს ქალებს; აი მისი
სამართლის ერთი მუხლი რას ამბობს ამის შესახებ: „ძმები
მოვალენი არიან უკანონო შობილი გაათხოვონ და გლე-
ხის პირობაზე შესაფერი მზითვეიც თან გაატანონ. თუ ისინი
სინდისიერნი არიან, რა საკვირველია, ეცდებიან უკანონო
ღის დაბინავებას. ისე როგორც რიგი არის“ (110).

როგორც ვიცით, დროს განმავლობაში ქართველი გლე-
ხი თან-და-თან კარგავდა მრავალს სხვა და სხვა უფლებებს.
ამ მხრივ ქართველი ქალი ხომ უფრო ცუდ მდგომარეობაში
იყო ჩაყენებული. ამის დასამტკიცებლათ საქმეა ალენიშნოთ
მხოლოდ ის, რომ ჩვენ ქალს საზოგადოთ აღკრძალული
ქონდა საკუთარი ქონების გაყიდვა-გასაჩუქრება, ან ანდერ-
ძით დატოვება ვისმესთვის. მასთან ცოლს არ შეეძლო გაეცა
ხელ-წერილები ქმრის დაუკითხავათ. ჩვენ ვკითხულობთ „ჩვეუ-
ლებებში“, რომ ცოლს არ შეეძლო ქმრის უნებურათ აგლო
ვარი ოჯახის საერთო საქმეების დასაკმაყოფილებლათ, და
თუ ვინცოდა იღებდა, ქმარი არ იყო მოვალე გადაეხდა
ასეთი ვალი (17).

ხშირათ მოხდებოდა ხოლმე, რომ მამის უძრავ-მოძრავი
ქონება ვერ აუვილიდა მევახშეების ვალის დაკმაყოფილებას.
ასეთ შემთხვევებისათვის მეფე ვახტანგი აწესებდა, რომ თუ
ვინცოდა ასეო მამას დარჩებოდა გაუთხოვარი ქალი, უკა-
ნასკნელისათვის უნდა გამოეყოთ მევალეებს საერთო ქონე-
ბიდან „რამდენიმე ნაწილი სარჩენათ“ და დანარჩენი კი გაე-
ნაწილებიათ ურთიერთ შორის (138). არ გავახსენებთ მკით-
ხველს, თუ რამდენათ დაშორებულია თანამედროვე ჩვენი
კანონ-დება ამ მართლაც რომ ჰუმანიურ წარმოდგენას. ბო-
ლოს საქროთ მიგვაჩნია შენიშნოთ, რომ ქალი არ იყო
პასუხის-მგებელი თავის საკუთარი ქონებით მამის, ქმრის, თუ
ძმის მოვალეობის წინაშე (145, 146). ცოლის მზითვეს ხელს
ვერ ახლებდენ ქმრის მევახშენი („ჩვეულებანი“ 15).

ყოველივე ზემო-ნათქვამი ჩვენ გვაძლევს ნებას დავასკე-
ნათ, რომ ქართველი ქალის ქონებრივი უფლებანი ვრცელდე-
ბოდენ თითქმის მარტო ერთათ-ეჭვს მზითვეზე.

ჩვენ ვერ ვხვდებით კანონდებაში ქალის მემკვიდრეობითი
უფლებებზე რაიმე თვალ-საჩინო ცნობებს, ამ მხრივ არც მა-
მა-კაცები არიან უკეთეს მდგომარეობაში. კანონ-მდებელნი
სრულიათ არ არკვევენ კითხვას, უძვეს თუ არა ქალს რაიმე
წილი მამის უძრავ-მოძრავ ქონებაში იმ შემთხვევაში, როდეს-
საც მას რჩება ქალიშვილებს გარდა ვაჟი-შვილებიც. ჩვენ ვი-
ცით, რომ ძმები მოვალენი იყვენ უსათუოთ გაემზითებიათ
ღები, საზავიეროთ არ ვიცით რამდენი ნაწილი უნდა რგებო-
და თვითველ დას მზითვათ საქმკვიდრო ქონებიდან. საზოგა-
დოთ ჩვენ კანონ-დებაში ნათლათ სჩანს მხოლოდ ერთი გა-
რემოება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ძმები ამზი-
თებდენ ღებს გვაროვნობის და საზოგადოებრივ მდგომარეო-
ბის მიხედვით, მამასადამე არ სუფევდა დაწერილი კანონი
ამის შესახებ. ეს მაგალითი ნათლათ გვიჩატავს კანონ-მდებ-
ლობის მდგომარეობას ჩვენი ერის წარსულ ცხოვრებაში: უნ-
და ვითქროლო, რომ დაუწერელ ჩვეულებას კიდევ დიდი მნი-
შვნელობა ქონდა ოჯახობრივ დაშორებულებათა განსაზღვ-
რაში.

ხოლო ამ მხრივ ბერძენთა და სომეხთა კანონები უკე-
თეს მდგომარეობაში არიან. ჩვენ ვხვდებით იქ რამდენსამე
მუხლს, რომელნიც დაწვრილებით განმარტავენ ქალის მემკ-
ვიდრეობით უფლებებს მამულ-ღედულზე. საყურადღებოა ის

ფაქტი, რომ ორივე ერის კანონები აღიარებენ ღელა-კაც
თანასწირობას მამა-კაცთან მემკვიდრეობითი უფლებებ
მხრივ მამა-პაპათაგან დატოვებულ უძრავ-მოძრავ ქონებას
(ბერძ. 1, 89... სომეხ. 330...). ჩვენ არ შევარუხებთ მკით-
ველს ზემონათქვამის დასამტკიცებლათ შესაფერი მუხლებ
შინაარსის მოყვანით ბერძენთა და სომეხთა კანონებიდ
მით უმეტეს, რომ საზოგადოთ მემკვიდრეობითი უფლებებ
განსაზღვრის საქმეში ჩვენ კანონ-ღებას არავითარი გავლენ
კვალი არ ატყვია ამ ერთა კანონ-ღებისაგან.

ა. ჩხენკელი.

(შემდეგი იქნება).

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი .

თფილისის კერძო საქკურნალო

გაღვიანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ვგადმოფებს იღებენ ყოველ დღე.

და ი ლ ი თ :

- გ. ა. ჭაჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
- ნ. ტ. მუღანა.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.
- ბ. ბ. მაღალაშვილი.—შინაგან. სამშ. ხუთშ. და შაბათობით 10—11.
- დ. ა. კამოკვი.—საშარდეს (ქირურგიული) ავთამყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.
- ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი, 11—12.
- ბ. მ. კლიაშვილი—შინაგ. და ბავშ. 11—12.
- დ. ა. გუდუგანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
- ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვების, და ბავშვებისა სამშაბ. და პარასკ. 1—2. კვრაობით—9—11.
- ს. გ. ბანსუკოვი—ღელათა სნეულებანი, ორშაბათობით ოთშაბათობით და პარასკეობით, 12—1.
- ბ. მ. ამბარდანიშვილი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2.
- ვ. კრ. სობოლევსკი—ქირურგ. და ორტოპედიული, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 1—3.

ს ა ღ ა მ ო თ ი :

- ა. ნ. თუმანიშვილი—ღელათა სნეულებანი, 5—6.
- ს. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა, მიკრო-ქიმიური ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი 5—6. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.